# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№45 (25.173) 22 ნოემბერი, 2024 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, მთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

# ბათუმელი ანდრია ფუტკარაძე – საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული


თამარ ლამპარაძე 595 85 80 06


*2024 წლის 16 ნოემბერს მთელი საქართველო გაახარა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გამართულ საბავშვო ევროვიზიაში ბათუმელი ანდრია ფუტკარაძის გამარჯვებამ. ანდრია პროექტ „რანინას“ მეშვიდე სეზონის გამარჯვებულია, მისი ვოკალური მონაცემებისა და არაბავშვური ოსტატობის გათვალისწინებით გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ კიდეც, მით უმეტეს, რომ ეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნისთვის მეოთხეა, ასე რომ, რეკორდსმენის სტატუსიც მოვიპოვეთ*




ანდრია ფუტკარაძე ევროვიზიაზე გიგა კუხიანიძის სიმღერით To My Mom წარდგა. მან ჟიურისგან 180 ქულა მიიღო, ხოლო ონლაინ ხმებით - 59 ქულა.

პატარა ქართველმა მომღერალმა 12-12 ქულა ესტონეთისგან, კვიპროსისგან, ესპანეთისგან, ალბანეთისგან, სომხეთისგან, უკრაინისგან, პორტუგალიისგან, სან მარინოსგან, ნიდერლანდებისგან, ისლანდიისგან, მალტასგან და იტალიისგან მიიღო.

ანდრიას შესახებ მისი პედაგოგი (ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა), ქალბატონი ქეთევან მანელიშვილი გვესაუბრება, რომელსაც, როგორც აღიარებულ ქორმაისტერს, იცნობს მთელი საქართველო. იგი თან ახლდა მომღერალს ევროვიზიაზე საგულშემატკივროდ და განცდილი ემოციებიც პირველმა გაგვიზიარა.

როგორც ქალბატონმა ქეთევანმა გვითხრა, ანდრიას საგულშემატკივროდ, ასევე, წაჰყვნენ სტუდია „ზღვის შვილების“ ხელმძღვანელი ნათია ინაიშვილი, ვოკალის პედაგოგები რუსუდან თავართქილაძე, ნონა დიასამიძე, ოჯახის წევრები და ახლობლები.

- ანდრია ყოველთვის გამორჩეული ბავშვი იყო, როგორც ვოკალურად, ასევე, პიროვნულად. მოგეხსენებათ, რომ ევროვიზიაზე ხშირად პოლიტიკური თვალსაზრისით ირჩევენ გამარჯვებულებს, ამიტომ წინასწარ არ ვიცოდით, რა მოხდებოდა, თუმცა კარგი მოლოდინი და იმედი გვქონდა. ჩვენ ანდრიას გენერალურ რეპეტიციაზეც ვახლდით.

როდესაც იგი რეპეტიციისას სცენაზე გამოვიდა და იმღერა, ჩვენ გვერდით - ესპანელებმა და უკან მსხდომმა გერმანელებმა, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა გვითხრეს, თქვენ გაიმარჯვებთო. დამთავრდა რეპეტიცია, ხმები გადანაწილდა და მაშინვე გამოჩნდა, რომ ანდრია გავიდა პირველ ადგილზე, რამაც სიხარულით აგვავსო. საოცარი სცენოგრაფიითა და რეჟისურით წარსდგა ჩვენი მომღერალი სცენაზე. რეჟისორს ბრწყინვალე ჩანაფიქრი ჰქონდა, როგორი უნდა ყოფილიყო ანდრიას პერფორმანსი. ეს ყველაფერი ალამაზებდა მის არაჩვეულებრივ ხმას და კომპოზიტორის საოცარ სიმღერას. ანდრიას ხმასთან და თავდაჭერილობასთან ერთად, აღსანიშნავია მისი შინაგანი განათლებაც. დააკვირდით, როგორ ინტერვიუებს იძლეოდა, როგორ აზროვნებდა. უცხოელმა ჟურნალისტმა რომ ჰკითხა, პირველ მადლობას ვის გადაუხდიო, მან უპასუხა - გიგა კუხიანიძეს და შემდეგ მშობელსა და პედაგოგებსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ანდრია საოცრად აზროვნებს. იგი ძალიან კარგად აღზრდილი და შინაგანი ინტელექტით გამორჩეული ადამიანია.




გაზეთი „აჭარა“ ულოცავს ანდრიას და საქართველოს ამ უდიდეს გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს უსურვებს უნიჭიერეს შემსრულებელს.


## «ამჯერად მაინც ნუ ჩავერევით გადამეტებული ოპტიმისტური კომენტარებით...» 3

## «ჩვენ თვალწინ იბადება ახალი მსოფლიო უწესრიგობა» 5

## «როდესაც ევროკავშირის ტრიბუნიდან მეოძღვრავს კაცზე გათხოვილი მამაკაცი...» 4

## ნინო რაზმაძე ისევ აჭარის მთიანეთის ფოლკლორითაა დაინტერესებული 6



ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# აქციებით ახმაურებული დედაქალაქი

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*საქართველოში საპროტესტო აქციები სხვადასხვა უნივერსიტეტსა და ქუჩებშიც მიმდინარეობს*

თავდაპირველად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გააპროტესტეს, როგორც თავად ამბობენ, გაყალბებული არჩევნები და მასში უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და რექტორის ჩართულობა, რომელიც, მათი თქმით, არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ უწევდა აგიტაციას.

- პროტესტი გამოიწვია გაყალბებულმა არჩევნებმა. ძალიან ბევრი ისეთი ფაქტი ვნახეთ, ერთი ადამიანი რამდენიმე უბანზე რომ აძლევდა ხმას. იყო სტუდენტების მოსყიდვა და დაშინებაც, რაშიც ჩართული იყო ბსუ-ის ადმინისტრაცია. ამან გამოიწვია ჩვენში კითხვები, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან პასუხი ვერ მივიღეთ. შემდეგ მოვითხოვეთ არჩევნების თავიდან ჩატარება, რომელშიც გამოხატული იქნება ქართველი ხალხის ნება. ამ არჩევნების გაყალბებით ბიძინა ივანიშვილმა მომავალი წაგვართვა. ჩვენ პროტესტს გამოვხატავთ სხვადასხვა ფორმით - უნივერსიტეტში ღამის გათენებით თუ საპროტესტო მარშით. პროტესტის მიუხედავად, არ გვინდა, განათლების მიღება შევწყვიტოთ და ამიტომ ვიწვევთ ლექტორებს. მათი ნაწილი, პარალელურად, ლექციებს გვიტარებს, - გვითხრა სტუდენტური მოძრაობა „გუშაგების“ ერთ-ერთმა ლიდერმა არჩილ ბერიძემ. პროტესტს გამოეხმაურა უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაშიც და აღნიშნა, რომ პოლიტიკური ხასიათის პროტესტი უნივერსიტეტისთვის მიუღებელია.

შეიძლება ითქვას, რომ ბათუმელი სტუდენტების პროტესტის შემდეგ საპროტესტო მუხტი გადაედო სხვებსაც. მათ პროტესტს მოჰყვა ე.წ. დაუმორჩილებლობის აქციები, რამაც გამოიწვია ჩახერგილი გზები, ქუჩაში გაშლილი კარვები და თბილისის ცენტრის პარალიზება.

ოპოზიცია დიდი ხნის განმავლობაში ვერ აყალიბებდა სამოქმედო გეგმას, მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ქუჩაში უნდა მდგარიყვნენ და გეგმასაც აქ შეიმუშავებდნენ. მათ პარლამენტში შესვლაზე თავიდანვე უარი თქვეს, შემდეგ დაუმორჩილებლობაც გამოაცხადეს და ქუჩებში ღამის თენება დაიწყეს. მათი თქმით, პროტესტი გაგრძელდება იქამდე, სანამ ქვეყანაში ახალი არჩევნები არ ჩატარდება. პროტესტის ადგილზე იმყოფება პოლიციაც.

ალსანიშნავია ისიც, რომ საპროტესტო




აქციებზე ჩნდებიან მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებიც, რომლებიც ციხიდან მის გათავისუფლებას ითხოვენ, თუმცა ოპოზიციურ სპექტრს თუ დავუჯერებთ, აქციის მთავარი თემა მხოლოდ წართმეული არჩევნებია, არადა, მოთხოვნებს შორის ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის გაუქმებაცაა. საპროტესტოდ შეკრებილები აგრესიულად დახვდნენ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების ჟურნალისტებს.

ჩვენ გავესაუბრეთ აქციის ერთ-ერთ მონაწილე თორნიკე ნინიკაშვილს, რომელიც უკვე სამი ღამეა, რუსთაველზე იმყოფება.

- ჩვენ ვიბრძვით მიტაცებული სახელმწიფოს დაბრუნებისთვის. ყოველდღიური პროტესტით, უკომპრომისო ბრძოლით, არჩევნების შედეგების არაღიარებით და მანდატებზე უარის თქმით მოვიპოვებთ ხელახალ არჩევნებს, დავამარცხებთ ივანიშვილს და ურყევად გავაგრძელებთ სწრაფვას ევროკავშირისკენ. ჩვენი გეგმაა გამარჯვება, ბევრი ხალხი ქუჩაში და მშვიდობიანი მანიფესტაციით ხელის შეშლა არჩევნების შემდგომი პარლამენტის პირველი შეკრებისთვის. ოთხი ოპოზიციური პარტია ამბობს, რომ ისინი პარლამენტს ლეგიტიმაციის საფუძველს არ შეუქმნიან. თუ ვინმე გატეხს სიტყვას და შევა პარლამენტში, ეს იქნება მათი პოლიტიკური დასასრული და მე ვიქნები პირველი, ვინც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მთელი ცხოვრება მოღალატის და ქვეყნის გამყიდველის სახელი ატაროს, - გვითხრა თორნიკე ნინიკაშვილმა.

პროტესტს ეხმაურებიან მმართველ პარტიაში. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ ოპოზიციის ქმედება არასწორია და ის წახალისებულია ევროპელი პოლიტიკური ლიდერების მხრიდან.

„არ შეიძლება, რამდენიმე ადამიანმა და აგენტურულმა ოპოზიციამ დედაქალაქის პა-



რალიზება მოახდინონ, ამას ქართული სახელმწიფო ვერ დაუშვებს. იცით, რომ ერთი ღამის განმავლობაში მათ ეს მოახერხეს და გარკვეული პერიოდის შემდეგ პოლიციამ მიიღო სწორი გადაწყვეტილება კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით. ეს ექსტრემიზმი, რომელიც აგენტურული ოპოზიციის მიერ იყო განხორციელებული, წახალისებულია იმ უცხოელი პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში წინა დღეებში, წააქეზეს აგენტურა, აქ მაიდნისკენ მოუწოდეს და მშვიდად დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებს“, - განაცხადა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.

თბილისის მერი კახა კალაძე ამბობს, რომ ოპოზიცია ქუჩაში გამოსულ ხალხს ატყუებს და სათავისოდ იყენებს.

„ისინი დამარცხდნენ არჩევნებში, მოსახლეობის უმრავლესობამ მათ მიუჩინა შესაბამისი ადგილი და გაისტუმრა პოლიტიკურ სანაგვეზე. ისინი მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ატყუებდნენ ამ ადამიანებს, ეუბნებოდნენ, თითქოს გაიმარჯვეს. შემდეგ, არჩევნების დღეს, ყალბი ეგზიტპოლები აჩვენეს, იზეიმეს კიდეც და შემდეგ უკვე დაიწყეს ცრუ კამპანია, თითქოს არჩევნები გაყალბდა. ისიც, რასაც ვხედავთ ჭავჭავაძის გამზირზე, არის რადიკალიზმის ნაწილი და ისიც, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ვისმენდით კონკრეტული განცხადებების სახით, თუმცა რადიკალიზმის დრო დამთავრებულია ქვეყანაში. ყოველთვის იქნება დამარცხებული რადიკალიზმიც და ბოროტებაც“, - განაცხადა კახა კალაძემ.

სამწუხაროა, რომ პოლიტიკურმა პოლარიზაციამ გახლიჩა საზოგადოებაც, გამეფდა სიძულვილის ენა. რა შედეგებამდე მიგვიყვანს რადიკალიზმი, როდემდე გაგრძელდება საპროტესტო აქციები და რას იზამს ოპოზიცია, ამას დრო გვიჩვენებს.

## ქრონიკა

ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების მეორე ეტაპი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, აჭარის განათლების, კულტურისა სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანმა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრისთან ერთად დაათვალიერეს. ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში პროექტის ფარგლებში განხორციელდება ტაძრის ფასადის, სამხრეთ კოშკის, კიბეების, ვიტრაჟების რესტავრაცია. რესტავრაციის პირველი ეტაპის ფარგლებში შეკეთდა ტაძრის სახურავი, მოეწყო წყალსაწრეტი სისტემა და სანიაღვრე ქსელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეზოში არსებულ ღობეს, მოეწყო გარე განათების სისტემა.

* * *

ბათუმის საკრებულოში ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები 492,000.0 ათას ლარს შეადგენს. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება, მუნიციპალური სერვისების განვითარება, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ბათუმის საკრებულოში ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტი 13 ნოემბერს შევიდა. რეგლამენტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მომდევნო კვირაში დასრულდება, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქ ბათუმის მერს, არაუგვიანეს 25 ნოემბრამდე, გადაუგზავნის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის შემაჯამებელ დასკვნას შენიშვნებითა და წინადადებებით.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ 2024 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე შეაჯამა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები. შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 317 119 მოქალაქეს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 201 572 ადამიანმა. ბათილად იქნა მიჩნეული 9 653 ბიულეტენი. არჩევნების შედეგებით, უმაღლეს საბჭოში 5 პოლიტიკური სუბიექტი იმუშავებს. მათ მიერ მიღებული ხმები, პროცენტი და მოპოვებული მანდატების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ - 57, 45 პროცენტი (110 232 ხმა, 13 მანდატი). „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ - 14, 26 პროცენტი (27 369 ხმა, 4 მანდატი); „გახარია საქართველოსთვის“ - 8, 63 პროცენტი (16 555 ხმა, 2 მანდატი); „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ - 8, 4 პროცენტი (16 115 ხმა, 1 მანდატი); „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ - 6, 32 პროცენტი (12 118 ხმა, 1 მანდატი). უსკოს სხდომის პარალელურად, საარჩევნო კომისიის შენობასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. „არ ვაპირებთ აჭარის უმაღლეს საბჭოში შესვლას“, - აცხადებს ოპოზიცია.

* * *

სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ 22-23 ნოემბერს გაიმართება. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, ფესტივალის სტუმრებს, ორი დღის განმავლობაში, საშუალება ექნებათ ქალაქიდან გაუსვლელად აჭარულ სოფლებში იმოგზაურონ, დააგემოვნონ აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი კერძები, გაეცნონ აჭარულ ტრადიციებსა და კულტურას. წელს მთავარი აქცენტი აჭარული სამზარეულოსა და ხალხური რეწვის დარგების წარმოჩენაზე გაკეთდება. მოეწყობა სპეციალური კვების კუთხე, სადაც აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელ კერძებს მოამზადებენ, ჩატარდება მასტერკლასები და კულინარიული შეჯიბრებები. შეგახსენებთ, რომ 24-25 ოქტომბერს ჩანიშნული ეს ღონისძიება უამინდობის გამო გადაიდო.

* * *

აჭარის ჭადრაკის ფედერაციისა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით, ვეტერანებს შორის ჭადრაკში ბლიცტურნირი „ბათუმის თასი“ გაიმართა. ღონისძიებას „ლორთქიფანიძის საჭადრაკო სკოლა“ მასპინძლობდა. სენიორ მამაკაცთა შორის ჩემპიონატი წრიული სისტემით და 11 ტურად ჩატარდა, ქალ სენიორებს შორის კი წრიული სისტემით - 9 ტურად. სენიორ ვაჟებს შორის შოთა ბასკურიძემ გაიმარჯვა, მეორეზე ნოდარ ძნელაძე გავიდა, მესამეზე - რეზო წულუკიძე. ქალ სენიორებს შორის პირველი ადგილი მარინა აროშიძემ დაისაკუთრა, მეორე - მედეა ბიბილეიშვილმა, მესამე - თამრიკო ხოზრევანიძემ. საპრიზო ადგილზე გასულ მონაწილეებს მედლები და დიპლომები გადაეცათ, პირველი ადგილის მფლობელებს, ასევე, თასი და ფულადი პრემია (150-150 ლარი). ტურნირის თითოეული მონაწილე ფასიანი საჩუქრითაც დაჯილდოვდა.

* * *

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით, აჭარის ჩემპიონატი გაიმართა ჭადრაკში, რომელსაც მუხრან ვახტანგაძის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ტურნირი, რომელშიც 40 სპორტსმენი ასპარეზობდა, ფიდეს წესებითა და შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად გაიმართა, ვაჟებში პირველი ადგილი ნოდარ ლორთქიფანიძემ დაიკავა, მეორეზე გაიოზ ნიგალიძე გავიდა, მესამეზე - რატი დიასამიძე. ქალთა შორის პირველობა არავის დაუთმო კესარია მგელაძემ, მეორე ადგილი მარიამ კალანდაძემ დაისაკუთრა, მესამე - ლულუ დიასამიძემ. სამივე ადგილზე გასული მოჭადრაკეები მედლით, დიპლომითა და ფულადი პრიზით დაჯილდოვდნენ, ჩემპიონებს ასევე თასი გადაეცათ.

* * *

ხელოვნების მუზეუმში სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „სტუდ-არტი“ გაიმართა, რომელიც არაერთი აქტივობით იყო გამორჩეული. წარდგენილი იყო თემა - „ხელოვნების გავლენა ტურიზმზე“, ასევე, მოეწყო სტუდენტებისთვის შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „XIX-XX სს მიჯნის ქართული მხატვრობა“ პრეზენტაცია. ახალგაზრდების ჩართულობით ჩატარდა თიხის ძერწვისა და ჩარხთან მუშაობის კერამიკული მასტერკლასი. ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ სტუდენტებს, ახალგაზრდებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ თითოეული მათგანის როლი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.

* * *

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, აქტიურად მიმდინარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მათივე ცნობით, შენდება დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლის ახალი, დამატებითი, სამსართულიანი შენობა, რომელშიც 15 საკლასო ოთახი და დიდი სპორტული დარბაზი განთავსდება. დასრულდა განთიადის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა და სკოლის ძირითადი შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ასევე, ღია სპორტული მოედნის მოწყობა. დასრულდა, აგრეთვე, ზედა განთიადის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის რეაბილიტაცია, ხოლო მიმდინარეობს ზემო წინსვლის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაციის და დამატებითი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები. უწყების ცნობით, ხორციელდება სოფელ აგარის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციაც.

# „ამჯერად მაინც ნუ ჩავერევით გადამეტებული ოპტიმისტური კომენტარებით...“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

*გთავაზობთ ინტერვიუს ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილთან,** რომელიც პარტია „ხალხის ძალას“ წარმოადგენს.*

**- ბატონო დავით, თქვენ გამოაქვეყნეთ იმ ევროპარლამენტართა სია, რომლებიც თავს უფლებას არ აძლევენ, ჩაერიონ საქართველოს საშინაო საქმეებში. როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ რა დასკვნას დადებს ევროპარლამენტი საქართველოს არჩევნებთან დაკავშირებით?**

- ჩემთვის ევროპარლამენტი დიდი ხანია არ წარმოადგენს მისაბაძ დემოკრატიულ და იდეალურ ინსტიტუცია-ორგანიზაციას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ორიოდე წლის წინ მთელი რიგი ხმაურიანი დაკავებები გახმაურდა. ლობირებასა და კორუფციაში წაუყენეს ბრალი დიდ ჯგუფს - ვიცე-სპიკერიდან დაწყებული, ევროპარლამენტარების რიგითი წევრებით გაგრძელებული. საკმაოდ დიდ თანხებზე იყო ლაპარაკი... ჯერ კიდევ საქართველოს არჩევნებამდე, ოქტომბრის დასაწყისში, ევრორეზოლუციაში გამოიკვეთა ძალთა თანაფარდობა, სადაც სულ რაღაც ორასამდე ევროდეპუტატმა შეიკავა თავი საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევისაგან, რაც 705 წევრისგან შემდგარ ევროპარლამენტში უკიდურესი უმცირესობა აღმოჩნდა, მაგრამ გარწმუნებთ, დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ ამ ადამიანების პოლიტიკური განწყობებიც ნელ-ნელა შეიცვლება იმის მიხედვით, რა პოლიტიკური მეინსტრიმი დაიკავებს წამყვან ადგილს მათ ქვეყნებში და, ზოგადად, ევროკავშირში.

**- რატომ მიგაჩნიათ, რომ საქართველოს მმართველი წრეებისთვის სასურველი მეინსტრიმი ჩამოყალიბდება?**

- იმიტომ, რომ ტრამპის კაბინეტიდან წამოსული მეინსტრიმი არ შეიძლება იყოს ფსევდოლიბერალური. აქედან გამომდინარე, ევროპარლამენტარები ფლუგერებივით შეცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას და პოზიციას მთელი რიგი საკითხების მიმართ, მათ შორის საქართველოსთან დაკავშირებითაც. ამ ეტაპზე უკვე შეგვიძლია მივესალმოთ ევროპარლამენტართა იმ ახალ სახელებს, რომლებიც წარმოადგენენ იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის მთავრობებს და პირდაპირ გამოდიან რეპუტაციული დაცვის ხასიათის განცხადებებითაც, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, პირველ რიგში, ევროკავშირის რეპუტაციას აზიანებს და აკნინებს ამ ორგანიზაციის დადებით გავლენას როგორც საქართველოში, ისე ევროპის კონტინენტზე არსებულ სხვა დემოკრატიულ ხელისუფლებებში. ახლა ექვსმა პარლამენტარმა გააკეთა ასეთი განცხადება, ხვალ მათი რიცხვი გახდება 12-17 და ასე შემდეგ. გარწმუნებთ, ტენდენცია მზარდი იქნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც, 2025 წლის 20 იანვრიდან, დონალდ ტრამპი შეუდგება მოვალეობის შესრულებას და ახალი დღის წესრიგის დამყარებას როგორც ამერიკაში, ისე ევროკავშირში, რაც მომენტალურად აისახება ევროპარლამენტზეც. მკითხველს ვურჩევ, მოთმინებით დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი კრიტიკოსი ჟიგიმანტას პავილიონისი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თანამდებობა და დღეს იგი აღარაფერს წარმოადგენს. ანალოგიური ელის საქართველოს ყველა არაკეთილმოსურნეს (გვარების ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს). მათ ჩაანაცვლებენ ის პრაგმატიკოსი ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებიც შეცვლიან პოლიტიკას.

**- იმედიანად საუბრობთ ტრამპის გაპრეზიდენტებაზე, ანუ თვლით, რომ აშშ შემოგვიბრუნდება?**

- მე ეს არ მითქვამს. საქართველოს მომავალი არც ტრამპსა და არც კამალა ჰარისზე უნდა იყოს დამოკიდებული. ჩვენი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, თავისუფლების დაცვის, მშვიდობის დამყარების და სტაბილურობის მიღწევის პოლიტიკა უნდა შევინარჩუნოთ თეთრი სახლის ნებისმიერი ადმინისტრაციის პირობებში. ერთადერთი, რაც შეგვიმსუბუქებს გარე ძალებთან მუდმივ



ბრძოლას და გამკლავებას, თუნდაც ის არის, რომ დონალდ ტრამპმა თავისი მომავალი პრესსამსახურის ხელმძღვანელად დანიშნა ჩვენთვის - ქართველებისთვის და, ზოგადად, კონსერვატიული ჯანსაღი ძალებისთვის კარგად ცნობილი ჟურნალისტი ტაკერ კარლსონი, რომელიც დაუფარავად გამოდიოდა ოჯახური ფასეულობების, ღმერთის, ტრადიციების დასაცავად. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ტაკერ კარლსონის რომელიმე ბრიფინგი, სადაც ის აღშფოთებული შეშფოთებით ილაპარაკებდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ გაუწვევიათ ოჯახური ფასეულობების დაცვის, ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონები, ეგრეთ წოდებული რუსული კანონი და ასე შემდეგ?! პირადად მე ამას თეორიულ დონეზეც კი ვერ წარმოვიდგენ. ანუ საქართველოს უკვე მოეხსნება ის მაკლიმატიზირებელი უარყოფითი მუხტი, რომელიც ყოველ ჯერზე გვაოცებდა და რომლითაც თეთრი სახლის ადმინისტრაციისა თუ სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერები თავიანთ დღის წესრიგს აწყობდნენ. ისინი საუბრობდნენ არა საკუთარ ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებულ კრიზისზე, არა ევროპაში მიმდინარე ომზე, არამედ საქართველოზე, განიხილავდნენ აქ დემოკრატიის უკუსვლას, აგრესიულ ანტიდასავლურ რიტორიკას, ჩვენს ილუზიურ მისწრაფებას რუსეთისკენ და სხვა ათას სისულელეს. გარწმუნებთ, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ თეთრი სახლის პრესსამსახური და სპიკერატი საქართველოსთან მიმართებაში მსგავსი აბსურდით დაკავებული აღარ იქნება. ამიტომ არის ჩვენთვის და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების გადატვირთვისთვის კარგი ტრამპის კვლავ გაპრეზიდენტება.

**- რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ოპოზიციის შესვლა პარლამენტში?.. და თუ არ შევლენ, როგორ განვითარდება მოვლენები?**

- 2016-2020-2024 წლების არჩევნებს გადახედეთ და მითხარით, ახალი რა ხდება? ერთადერთი, 2020 წლის აქციებთან შედარებით, მეტი სიმშვიდეა, რადგან ველარ გარისკეს ცესკოს შენობის შტურმით აღების მცდელობა.

**- რითი ხსნით ამას?**

- ელემენტარულად, ამ ხნის განმავლობაში, კანონმდებლობა გამკაცრდა და დღეს მსგავსი „ხულიგნობისთვის“ არა ადმინისტრაციული ჯარიმა (რომელსაც ისევ USAID-ი იხდიდა), არამედ სისხლის სამართლებრივი დევნაა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, გაირკვა, რომ წინასწარი დაკავების საკანში აღმოჩენა არავის უნდა. ვნახოთ, რას იზამენ. პარლამენტის მუშაობის და შენობის ბოიკოტირება დღეიდან სამართლებრივად დასჯადი ქმედებაა. დარწმუნებული ვარ, რომ ის პოლიცია, რომელსაც მომიტინგეები აგინებენ, შეურაცხყოფენ, მოლოტოვის კოქტეილებს ესვრიან, არ დადგება კანონგარეთ და შეასრულებს საკუთარ მოვალეობას... მაინც ვფიქრობ, ჩვენთვის სამწუხაროდ, ისინი შევლენ პარლამენტში, იანვრიდან მიიღებენ დიდ ხელფასს, ხოლო ქვეყნის ნგრევისა და დესტრუქციის პოლიტიკას გაატარებენ უკვე საკანონმდებლო ორგანოში.

**- სოციალურ ქსელში მათ წყევლაზეც საუბრობდით... მართლაც მოსაბეზრებელი გახდა სიძულვილის ენა, რომელიც ერს შუაზე ხლეჩს.**

- სიძულვილის ენა და საზოგადოების პოლარიზაცია არ არის მხოლოდ ქართული ფენომენი. ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ გაებედათ და წელსაც არჩევნებში მოგება მიეწერათ (როგორც 2020-ში), მაგალითად, კამალა ჰარისისთვის, ამერიკა ვერ გადაურჩებოდა სამოქალაქო დაპირისპირებას. ის ამერიკელები, რომელთა ოჯახებში დღესდღეობით ინახება ნახევარ მილიარდამდე სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, აუცილებლად გამოიყენებდნენ მას ისევე, როგორც 2020 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში გააკეთეს და დაანახეს მსოფლიოს მათი შესაძლებლობები. მე მაინც მგონია, რომ ამ დონის პოლარიზაციამდე არ მივსულვართ. ეს მოსაზრება შეიძლება მიამიტურად ჩამითვალოთ, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ალბათ, „ნაცმოძრაობის“ ყველაზე გამოუსწორებელ სექტანტშიც კი იფეთქებს მამაპაპისეული გენი. იმედს ისიც მაძლევს, რომ მონათლულები არიან, ხოლო ნათლისღება და მირონცხება უგზოუკვლოდ არ ქრება ადამიანის ცნობიერებიდან და მისი სულიერი მდგომარეობიდან. იმის მიუხედავად, რომ ოჯახებიცაა დაყოფილი, არ მგონია, პოლარიზაცია გაღრმავდეს და გამოუსწორებელ ნაბიჯებამდე მიგვიყვანოს. დრო ყველაფრის მკურნალია. თუ ოჯახზე, უფალზე, სამშობლოსა და ტრადიციებზე დაფუძნებული ის ჯანსაღი პოლიტიკა განხორციელდება, რომელსაც მსოფლიოს ჰპირდება ამერიკა თავისი ახლად არჩეული პრეზიდენტის პირით (რასაც ქადაგებდა ტრამპი წინასაარჩევნო პროგრამაში), ბევრი რამ შეიცვლება. კერძოდ, 2025 წელს ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში უნდა ჩატარდეს ცენტრალური და თვითმმართველობის არჩევნები. ბევრგან უკვე მომძლავრებულია მემარჯვენე კონსერვატიული პარტიული მუხტი, რომელსაც, ცხადია, დონალდ ტრამპი დამატებით სტიმულს მისცემს, რომ ან პირდაპირ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ან წამყვანი როლები შეასრულონ კოალიციურ მთავრობებში. როდესაც ევროპული ვექტორი ტრადიციულ-ქრისტიანული ფესვებისკენ გადაიხრება, რაც დაკარგული, დაკნინებული იყო ამ ფსევდოლიბერალიზმის წნეხის ქვეშ, ჩვენი „შინევროპელებიც“ მიხვდებიან, რას ლაპარაკობდა ამჟამინდელი ხელისუფლება წლების განმავლობაში, რომ ღირსეულად, ტრადიციებზე დაყრდნობით, ამაყად შევალთ ევროკავშირში და მხოლოდ სახედაბრუნებულ ევროპაში ვხედავთ საკუთარ ადგილს. პატარა საქართველო განსაკუთრებულია და ძალუძს, დაანახოს მსოფლიოს თავისი უნიკალურობა. ჩვენ შევძლებთ, ვითამაშოთ წამყვანი როლი ევროპელებისთვის ევროპაშივე ჩაკარგული ფასეულობების აღდგენა-დაბრუნებაში. როდესაც ეს მოხდება, სიძულვილის ენა ლამაზი ქართულით ჩანაცვლდება და საზოგადოების პოლარიზაცია დასრულდება.

**- ბატონო დავით, არ შემიძლია, არ შეგეკითხოთ სოხუმში განვითარებულ მოვლენებზე - საკმაოდ იმედისმომცემი განცხადებები ვრცელდება ფეისბუქგვერდებზე.**

- სოხუმსა და ცხინვალთან მიმართებაში ყოველთვის ვფრთხილობდი და დღესაც ამავე პოზიციაზე ვარ. მთავარი და ძირითადი, რამაც თავის დროზე გააფუჭა ჩვენი თანაცხოვრების საქმე, იყო ქართული სულსწრაფობა და მოუთმენლობა, რომელიც ვლინდებოდა სრულიად ალოგიკურ ქმედებებში და რომელთა მიზნობრიობას დღესაც ვერავინ ხსნის. პასუხს ვერც ის ადამიანები იძლევიან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ პროცესებში... 1989 წლის სექტემბერი - რატომ შევვარდით ცხინვალში და რატომ დაიღვარა ოსურ-ქართული სისხლი?! 1992 წლის აგვისტოში რა გვინდოდა აფხაზეთში, სადაც უამრავი ქართველი და აფხაზი დაიღუპა? რატომ დავუშვით 2004 წელს, ზაფხულში, ოქრუაშვილის წინამძღოლობით, ცხინვალის დე ფაქტო მთავრობასთან ნორმალიზაციამდე მიყვანილი ურთიერთობების გაფუჭება ისე, რომ მის აღდგენაზე მხოლოდ ვოცნებობთ?!.. ახლა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ცოტა ხანს თავი შევიკავოთ და არანაირი კომენტირებაც კი არ გავუკეთოთ იმ მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება (ამ სიტყვას ხაზს ვუსვამ), სასიკეთო როლი ითამაშოს ჩვენი სამომავლო შერიგების, ინტეგრაციისა და კვლავ გაერთიანების საქმეში. ამჯერად მაინც ნუ ჩავერევით გადამეტებული ოპტიმისტური კომენტარებით, ანუ ხმას ნუ ამოვიღებთ, უფალი ისე დაალაგებს ყველაფერს, რომ ეს ორი უძღები შვილი - სოხუმი და ცხინვალი ღვთისმშობლის წილხვდომილობის ქვეშ აუცილებლად დაბრუნდება.

*„ამ ეტაპზე უკვე შეგვიძლია მივესალმოთ ევროპარლამენტართა იმ ახალ სახელებს, რომლებიც წარმოადგენენ იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის მთავრობებს და პირდაპირ გამოდიან რეპუტაციული დაცვის ხასიათის განცხადებებითაც, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, პირველ რიგში, ევროკავშირის რეპუტაციას აზიანებს და აკნინებს ამ ორგანიზაციის დადებით გავლენას როგორც საქართველოში, ისე ევროპის კონტინენტზე არსებულ სხვა დემოკრატიულ ხელისუფლებებში*

## ცესკო საქართველოს პარლამენტის ახალარჩეულ წევრებს დროებით მოწმობებს გადასცემს

***ცესკო განცხადებას ავრცელებს, რომლის თანახმად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიების წარმომადგენლებს, პირველ სხდომამდე, პარლამენტის წევრად არჩევის დროებითი მოწმობები გადაეცემათ***

„ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იმოქმედა საქართველოს ორგანული კანონით („საქართველოს საარჩევნო კოდექსი“) განსაზღვრული ვალდებულებით და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან ორი დღის ვადაში უზრუნველყო არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთათვის დროებითი მოწმობების დამზადება.

შესაბამისად, ადმინისტრაციის მხრიდან მოხდება დაკავშირება ბარიერგადალახული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან, ახალარჩეული საქართველოს პარლამენტის პირველ სხდომამდე მათთვის საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ დროებითი მოწმობების გადაცემის მიზნით“, - აღნიშნულია განცხადებაში.

# „როდესაც ევროკავშირის ტრიბუნიდან მმოძღვრავს კაცზე გათხოვილი მამაკაცი...“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

***აჭარაში პოპულარული პოლიტიკოსი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი მასალკინი ამჟამად უპარტიოა, თუმცა კვლავ პოლიტიკაშია. ამ არჩევნებში იგი იაგო ხვიჩიას „გირჩიდან“ პირველი ნომერი იყო უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სიაში...***

*ბატონ გიორგის ვთხოვეთ, გაეზიარებინა საკუთარი თვალსაზრისი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და როგორც პარტიული შეზღუდვებისგან თავისუფალ, დამოუკიდებელ, გამოცდილ პიროვნებას, გაეკეთებინა არჩევნების წინა და შემდგომი პერიოდების ობიექტური ანალიზი.*

> *„ახლა ძალიან ცუდ რამეს ვიტყვი: არჩევნების გაყალბებით ქართველს ვერ გააკვირვებ და ვერც გააბრაზებ. ოპოზიცია ამბობს, 300 ათასი ხმა მიიწერა „ოცნებამო“. ოდნავ მაინც ვინც იცის საარჩევნო ტექნოლოგიები, ხვდება, რომ 300 ათასის გასაყალბებლად 100 ათასი კაცის ჩართვაა საჭირო. გამოდის, ყველა მეათე მონაწილეობდა გაყალბებაში და ის რატომ გამოვა ქუჩაში?! დარჩენილი ცხრა ამომრჩევლიდან რამდენიმემ მართლა მისცა ხმა მმართველ პარტიას და... ვინც დარჩა, ის დაიღალა...*

**- ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ შემაჯამებელ დასკვნას მოჰყვა საკმაოდ უსიამოვნო ინციდენტი, თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილს დავით კირთაძემ შავი საღებავი შეასხა, რითაც საბოლოო მონაცემები გააპროტესტა. ახლა თბილისში მიმდინარე აქციაზეც პოლიციას შავ საღებავს ასხამენ დრონებიდან... „ქართულმა ოცნებამ“ ხმების თითქმის 54% მიიღო. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ოპოზიციის მტკიცება არჩევნების გაყალბების შესახებ?**

- მე არ მაქვს მარტივი პასუხი ასეთ რთულ შეკითხვაზე, ამიტომ ცალსახად ვერ გეტყვით, სხვანაირად ავხსნი, რას ვფიქრობ. 1991 წლის არჩევნების გარდა, ყველა არჩევნები ყალბდებოდა, ყალბდება და, დიდი ალბათობით, კიდევ გაყალბდება. ამჯერად უმჯობესია ვისაუბროთ, ამ გაყალბებამ ხარისხობრივად რა გავლენა მოახდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ანუ, ბუნებრივია, გაყალბდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მისი მაჩვენებელი წინაზე ბევრად მეტი იყო... აქვე იმასაც ვიტყვი, რომ გაყალბების, ეგრეთ წოდებული მართვადი არჩევნების სისტემა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ჩამოყალიბდა.

**- ასე ცალსახად როგორ აცხადებთ, გაქვთ მტკიცებულება? ახალგაზრდებიც ჩართულნი არიან საპროტესტო აქციებში...**

- დეტალებში ვიცი, რას აკეთებდნენ, რადგან თავად აქვთ გული გადაშლილი... მე მესმის ახალგაზრდების, რომლებისთვისაც ეს პირველი არჩევნები იყო. მათ დაინახეს რაღაც დარღვევები, „შავი ბიჭები“ - უბანზე, ქალები სიებს რომ იწერდნენ და მაქინატორობდნენ. ვიცი, რომ სურთ უკეთესი არჩევნები და ვერ ვუსაყვედურებ. მე ვსაყვედურობ იმ ხალხს, ვინც ეს ყველაფერი მოიფიქრა და წინა პლანზე გაუშვა ახალგაზრდები. დარწმუნებული ვარ, არ უხსენებიათ, რომ ამ სისტემის ფუძემდებლები თავად არიან და ახლა მსხვერპლის როლი შეითავსეს.

**- თქვენ მაინც ზოგადად ამბობთ, კონკრეტულად ვის გულისხმობთ არჩევნების გაყალბების სისტემის ჩამოყალიბებაში?**

- ყველა ძველი პარტიის ლიდერებს და მათ რიგით წევრებს, ყველამ იცოდა, საქმის კურსში იყო და მონაწილეობდა. ვერცერთი ვერ იტყვის, რომ რაღაც პრინციპების გამო განზე გადგა ან გამოაკლდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. უნდოდათ თუ არა, ვალდებულნი იყვნენ და აკეთებდნენ იმას, რასაც პარტიის აქტივი უბრძანებდა... მოკლედ, ახლანდელი არჩევნებიც გაყალბდა. მოდით, ჟარგონს ვიხმარ, „თუ ჭამე - უნდა მიიღო“, ანუ თუ ვერ გააკონტროლე შენი აქტივით, მხარდამჭერებით, უცხოელი ექსპერტებით და პარტნიორებით, თუ წინასწარ არ დასვი კითხვები...

**- მაინც რა კითხვები უნდა დაესვათ?**

- ელემენტარულად, არის თუ არა შესაძლებელი ელექტრონული მაქინაციები, სიების სხვა რაოდენობით ჩატვირთვა, მონაწილეთა კონტროლი და სხვა. ახლა უამრავ საკითხზე მსჯელობენ და შესაძლო დარღვევებზე საუბრობენ, მაგრამ ხელშესახებ დოკუმენტაციას ვერ დებენ იმიტომ, რომ არ მომზადებულან საამისოდ. მატარებელი წავიდა, უკვე ვერ მიიღებ პასუხს იმ კითხვებზე, რაც თავიდანვე არ დასმულა და აქედან გამომდინარე, არ გაკონტროლებულა. საოცრად პასიური იყო ამ არჩევნებზე ოპოზიცია, არაფერი აკეთა. კარგი, „ოცნებამ“ ხმები მოიმატა, მაშინ ოპოზიციას ხმები დააკლდა. სად წავიდა ის 200 ათასი ხმა, რომელიც წინა არჩევნებზე ჰქონდა? მოდით, ვიყოთ ცოტა რეალისტები... აი, ეს სახელმწიფო, მონოლითი ძალიან დიდი თანხებით, იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს, გამოდიოდა ლოზუნგებით: „მშვიდობა და სტაბილურობა“, „ოჯახური სიწმინდის კანონი“ (რომელსაც კაციშვილი არ წაიკითხავს, მაგრამ ხომ ჟღერს რიგითი მოქალაქისთვის მისაღებად?) და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი, მიმდინარე ომების ფონზე, ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობაზე - ამას რატომ არავინ ითვალისწინებს?.. და მეორე მხარეს რა დაახვედრეს? ორად გაყოფილი „ნაციონალური მოძრაობა“ - ახლა არ მითხრას ვინმემ, რომ ამან არ გამოიწვია დაბნეულობა მათ მომხრეებში. აქეთ „ლელო“ და „გახარია საქართველოსთვის“, რომლებიც უარს ამბობდნენ თანამშრომლობაზე... და რას სთხოვენ ელექტორატს?! .

**- თქვენ ფიქრობთ, რომ არჩევნები ნამდვილად გაყალბდა, რომ არ გაყალბებულიყო, ოპოზიცია მიიღებდა უმრავლესობისთვის საკმარის ხმებს, მაგრამ მიმდინარე ომების ფონზე ბევრი ამომრჩეველი სერიოზულად შეშინდა...**

- კი, ესეც არის... იცით რა, ჩვენ ყველა იმ კლასტერის ტყვეობაში ვიმყოფებით, რომელშიც ვცხოვრობთ. ხშირად გაიგონებთ: „ჩვენ ირგვლივ არავინ აძლევს ხმას, მაგალითად, „ოცნებას“ ან „ხაზარაძეს“... მაგრამ აქ საყურადღებოა - „ჩვენ ირგვლივ“, ანუ შენი თანამოაზრეები არიან იმ კონკრეტულ კლასტერში, სადაც არსებობ და მოღვაწეობ. ფეისბუქშიც საკუთარ კლასტერებში ვართ გაერთიანებული... მოდი, ცოტა გვერდითაც გაიხედე, გაარკვიე, მდუმარე უმრავლესობა რას ფიქრობს - გამვლელები, ტაქსისტები, პედაგოგები, ბაზარში მოვაჭრეები, ფერმერები... უმრავლესობა, რომელიც დუმს, მაგრამ საკუთარ აზრს აფიქსირებს არჩევნებზე... არ დაგავიწყდეთ 800 ათასი პენსიონერიც - ყველაზე დისციპლინირებული ამომრჩეველი... შენ ამათთან მიდიხარ ლოზუნგით „ჩვენ გვინდა ევროკავშირი!“. იქნებ სულაც არ უნდა ევროპა?! კი, მაღალი პენსია ექნება, მაგრამ ისიც იცის, რომ თავის სიცოცხლეში ამას ვერ მოესწრება, ვერ გახდება ევროპის ბენეფიციარი... აქედან გამომდინარე, მასზე გაცილებით დადებითად იმოქმედა ლოზუნგებმა მშვიდობასა და ოჯახის სიწმინდეზე... ერთიცაა, რასაც ვერ გავექცევით: ოპოზიციას სჭირდებოდა მზეჭაბუკი, არადა, ფაქტია, რომ ვერ მოიძებნა ასეთი... პერსონიფიცირებული პოლიტიკის პირობებში ვცხოვრობთ და მწარე რეალობას უნდა შევეგუოთ. საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში დღესდღეობით არ გამოჩნდა მთლიანად ქართველობისთვის მისაღები, ერთიანი კანდიდატი, რომელიც წამოქაჩავდა ოპოზიციას და გაზრდიდა მის რაოდენობას ისე, რომ ვერანაირი გაყალბება ვერ შეძლებდა ელექტორატის საერთო ნების გადაფარვას... ამჟამად პიროვნების დეფიციტია საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში. ასე თუ ისე, წონიანი პოლიტიკოსები ან გავიდნენ არენიდან, ან ტაიმაუტი აიღეს, ან ვერ მოირგეს მათთვის შესაფერისი პოლიტიკური მანტია, რომლითაც წარმოაჩენდნენ საკუთარ შესაძლებლობებს. ვინც დარჩა, ყველას ძირფესვიანად იცნობენ, კარგა ხანია, მათი პლუსიც და მინუსიც გაცხადებულია, ანუ ბევრი პოზიტიური კაპიტალი აქვთ, მაგრამ ნეგატიური - სჭარბობს... მოგეხსენებათ, ციფრული სამყაროს გარემოცვაში ურთულესია მისხალის დაფარვაც კი, არათუ იმ „საგმირო საქმეების“, რაც ნებისმიერ ახლანდელ პოლიტიკოსს შლეიფად დასდევს.

**- აჭარის პოლიტიკური სპექტრიც თითქოს ჩაქრა. ადრე თქვენი „რესპუბლიკელთა“ გუნდის მიმართ იყო დიდი ნდობა, შემდეგ რაღაცნაირად აირ-დაირია ყველაფერი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ დასუსტდა, ახალი პარტიები ვერ ახდენენ სათანადო რეზონანსს. „ლელო“, „გირჩი“, „გახარია საქართველოსთვის“ გამოჩნდნენ, მაგრამ მათ გულწრფელობაშიც საკმაოდ ეპარება ეჭვი ელექტორატს, რადგან ერთმანეთს სატელიტებად თვლის.**

- იმედი მაქვს, ბათუმი მაინც შეინარჩუნებს საქართველოს მეორე პოლიტიკური ცენტრის როლს, თუ ქუთაისმა არ წაგვართვა... ჰო, ბოლო დროს შეინიშნება ქუთაისის გამოღვიძება. დიახ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაქსაქსულობამ გამოიწვია ეს ინდიფერენტულობა, „რესპუბლიკური პარტიის“ ბათუმში პრაქტიკულად გაქრობამაც... ბევრმა პოლიტიკოსმა თბილისში გადაინაცვლა... პრინციპში, ბათუმი ამ კუთხით მართლაც პროვინცია გახდა. მახსოვს, თუნდაც 2012-2016 წლებში, მე რომ ვიყავი უმაღლეს საბჭოში, ხალხი აქცევდა ყურადღებას, რა ხდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში, ჩართული იყვნენ პროცესებში, ახლა ამ ორგანოზე მხოლოდ იმ საინფორმაციო გამოშვებას თუ შეხედავენ, სადაც ოპოზიცია-უმრავლესობის შეხლა-შემოხლისა და ფიზიკური დაპირისპირების ფრაგმენტებს აჩვენებენ. ახლა ყველაფერი მაინც თბილისში - რუსთაველზე წყდება.

**- იმ რაოდენობის ხალხიც ვერ შეკრიბეს, რამდენსაც აანონსებდნენ...**

- არის ტერმინი „კრიტიკული მასა“, რომელიც დგება უაღრესად გაბრაზებული მოქალაქეებისგან. წარმოიდგინეთ, რა დონეზე უნდა გაბრაზდეს ქართველი, ქუჩაში რომ გამოვიდეს! ახლა ძალიან ცუდ რამეს ვიტყვი: არჩევნების გაყალბებით ქართველს ვერ: გააკვირვებ და ვერც გააბრაზებ. ოპოზიცია ამბობს, 300 ათასი ხმა მიიწერა „ოცნებამო“. ოდნავ მაინც ვინც იცის საარჩევნო ტექნოლოგიები, ხვდება, რომ 300 ათასის გასაყალბებლად 100 ათასი კაცის ჩართვაა საჭირო. გამოდის, ყველა მეათე მონაწილეობდა გაყალბებაში და ის რატომ გამოვა ქუჩაში?! დარჩენილი ცხრა ამომრჩევლიდან რამდენიმემ მართლა მისცა ხმა მმართველ პარტიას და... ვინც დარჩა, ის დაიღალა... თანაც, დაზამთრდა, ხალხო, აცივდა... ყველაფერი გასათვლელია. ახალი წელი მოდის, ათასი პრობლემაა, ბევრიც - გრძნობს უპერსპექტივობას. ოთხმა პარტიამ გადალახა ბარიერი, აქედან სამი აწყობს მიტინგებს, მეოთხე - თავს იკავებს თითქოს... მუდმივ დეჟავიუში ვართ... ჩვენ ეს კინო ნანახი გვაქვს რამდენჯერმე. ჯერ აპროტესტებენ და მერე შელაგდებიან პარლამენტში. მართალია, ქართველებს ცოტა გვიჭირს პოლიტიკურ მეხსიერებაში, მაგრამ მთლად ასე არ არის, არაფერი გვახსოვდეს.

**- „მეოთხე თავს იკავებს“ - გახარიას პარტიაზე თქვით ალბათ. ოპოზიციის ბევრი მომხრე გახარიას ივანიშვილის შექმნილ ოპოზიციად თვლის.**

- არა მგონია... მე ასე ღრმა წიაღსვლებს არ ვაკეთებ. თანაც პოლიტიკაში დე ნიროების და დასტინ ჰოფმანების არსებობისაც არ მწამს - ვერ შეძლებენ ასეთ თამაშს, მით უმეტეს, რომ პირადად ვიცნობ ზოგიერთ მათგანს. უბრალოდ, ეს არის სხვა ნიადაგზე წარმოქმნილი პარტია. გახარია „ქართული ოცნების“ კლასტერის განაყოფია, ანუ არატრადიციული ოპოზიციური წარმონაქმნი, რაც ეჭვს იწვევს.

**- ამ არჩევნების შედეგებით რუსეთი კმაყოფილია, აშშ და ევროკავშირი - გაბრაზებული... რა ხდება ჩვენს თავს?**

- არაფერი კარგი არ ხდება. მეშინია, მოლდოვის ანალოგიური სიტუაცია არ მივიღოთ. იქ, რეფერენდუმის საფუძველზე (30 ათასი კაცის გადაწყვეტილებით), გაიმარჯვა პროევროპულმა ვექტორმა, მაგრამ შიგ ქვეყანაში ანტიევროპული განწყობა უფროა. არადა, ნუ გავიწყდებათ, მოლდოვა ევროკავშირის წევრ რუმინეთის ნაწილია. თითქოს ყველას უნდა აერჩია ევროპა, მაგრამ მხოლოდ 50%-მა დაუჭირა მხარი, ანუ მეორე ნახევარში საპირისპირო განწყობა გაბატონდა. ევროპა იმდენად დიდ შეცდომებს უშვებს ამ ბოლო დროს, რომ აძლიერებს ანტიევროპულ, ტრადიციულ ძალებს საქართველოში. არადა, ცხვირში კი არ უნდა გვირტყამდეს, უნდა გვეფერებოდეს. მის გარეშეც ვიცი, რომ არშემდგარი დემოკრატია გვაქვს, მაგრამ მისი წევრობის კანდიდატებს შორის ყველაზე პროევროპული მენტალიტეტი აშკარად გვაქვს, უკრაინაზე მეტიც კი. ექსკლუზიურად ვამბობ „აჭარისთვის“, აქამდე არსად მითქვამს, როდესაც ევროკავშირის ტრიბუნიდან მმოძღვრავს კაცზე გათხოვილი მამაკაცი (ღმერთმა ხელი მოუმართოს - გ. მ.), ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე და მეუბნება: შენი ეკლესია არ ვარგა, ამ წესით ვერ შემოხვალ ევროკავშირშიო, მეც კი, არაეკლესიურ, ტოლერანტულ პიროვნებას, მიჩნდება ძალიან დიდი პროტესტი. თან მიმითითებს, რომ კანონი ოჯახურ სიწმინდეზე უნდა გაიწვიოთო. არ წამიკითხავს ეს კანონი, სიმართლე გითხრათ, მხოლოდ ის ვიცი, რომ არჩევნებისთვის გათვლილ პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მაინც მიჩნდება პროტესტი: რატომ მიკითხავს ეს კაცი მორალს?! კი, ბატონო, იბრძოლე ლგბტ-ს უფლებებისთვის, მაგრამ ჩემს ეკლესიას და ოჯახურ სიწმინდეს თავი დაანებე! ლიბერალური წრეების წარმომადგენლები მსგავს საკითხებზე არ ვაქცენტირებთ, მაგრამ ხალხი უყურებს ტელევიზიას, სადაც ამ ყველაფერს დეტალურად უხსნიან და განუმარტავენ, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ძალიან მძლავრი ანტიევროპული ნარატივი მივიღოთ ქვეყანაში. თუ ევროპას ექნება ორმაგი სტანდარტები და თუ საქართველო სასჯელს მიიღებს ვიზა-ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ეს ძალიან ნეგატიურად იმოქმედებს ჩვენს ქვეყანაზე. უნდათ გამოძიება ჩაატარონ? კი, ბატონო, მეც მაწყობს, გაყალბებები საბოლოოდ ხომ უნდა შეწყდეს, მაგრამ ვერ ჩაატარებენ, რადგან ამ პროცესს სჭირდება საკანონმდებლო ბაზის ცვლილებები, დიდი დრო და თანაც... რა უნდა გამოიძიონ, „შავად“ დარიგებული, ჯიბიდან ჯიბეში გადასული ფული?!.. ეს აბსურდია! არჩევნების არალეგიტიმურად ცნობას სჭირდება ძალიან, ძალიან მძიმე არგუმენტები, რომელთა უარყოფა შეუძლებელი იქნება.

**- ტრამპის გაპრეზიდენტებაზე რა აზრის ხართ?**

- მიუხედავად მისი არაორდინარულობისა, ტრამპის მოსვლას მივესალმები, შეიძლება მივიღოთ უფრო რაციონალური საგარეო პოლიტიკა. დიახ, უფრო კონსერვატორული მემარჯვენე პოლიტიკა ექნება, მაგრამ მსოფლიოს „გადატვირთვისთვის“ ტრამპი აუცილებელია.



# „ჩვენ თვალწინ იბადება ახალი მსოფლიო უწესრიგობა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***უკრაინაში ცივილიზაციური ომი რომ მიმდინარეობს რუსეთსა და დასავლეთს, დემოკრატიასა და დიქტატურას, სინათლესა და სიბნელეს შორის, ცხადზე უცხადესია. სინათლეს უკრაინა განასახიერებს, სიბნელეს კი რუსეთი***

*თითქმის სამი წელია, რაც რუსეთის ფედერაცია აგრესიას ახორციელებს უკრაინაში - იავარქმნილი ქალაქები და სოფლები, ათიათასობით დახოცილი და დაჭრილი ადამიანი, მილიონობით ლტოლვილი სწორედ იმას ცხადყოფს, რომ კრემლის მთავარი ამოცანა უკრაინის მსოფლიო რუკიდან გაქრობაა, მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწია - ოფიციალურმა კიევმა შეძლო, გამკლავებოდა რუსეთის არმიას და ეს, გარკვეულწილად, დასავლეთის დამსახურებაა... ახლა გარდამტეხი ეტაპი დგება არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა, ალაპარაკდნენ ომის შეწყვეტაზე და ისმის კითხვები: ომის რა ფაზაა ახლა უკრაინაში? როგორ აპირებს ტრამპი ომის დასრულებას და მიმდინარეობს თუ არა ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ონლაინგამოცემა „რეალპოლიტიკის“ რედაქტორი* **აკა ზარქუა.**

**- თითქმის სამი წელია, გრძელდება რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ, ახლა ომის რა ფაზაა?**

- არსებობს მოსაზრება, რომ ომი ჩიხშია შესული. მე არ ვეთანხმები, რომ ფრონტის ხაზი გაყინულია. არის შეფასებები, რომლის მიხედვითაც რუსეთის უპირატესობები თვალნათელია, კერძოდ, ცოცხალ ძალაში, ასევე, ავიაციაში, უკრაინის მხარეს, შეიარაღების და ცოცხალი ძალის დანაკლისის ფონზე, ეს ყველაფერი იღებს კუმულაციურ ეფექტს. ჩანს ისიც, რომ რუსეთის წინსვლის ტემპები ბოლო თვეების განმავლობაში დონბასში მნიშვნელოვნად გაიზარდა და, ფაქტობრივად, 2022 წლის ტემპს დაუბრუნდა. ამის მიუხედავად, მაინც რთულია თქმა, რომ რუსეთი სტრატეგიულ გამარჯვებასთან ახლოს არის. თუ რუსეთი რამდენიმე ქალაქის დაკავებას შეძლებს დონეცკის ოლქში, ორი დიდი - სლავიანსკისა და კრამატოვსკის აგლომერაცია დარჩება უკრაინის კონტროლქვეშ. აქედან გამომდინარე, ფრონტი არ არის ჩიხურ მდგომარეობაში, როგორც ხშირად ამბობენ, თუმცა თუ ვერ ვხედავთ რომელიმე მხარის გადამწყვეტ უპირატესობას ამ დაპირისპირებაში, ეს არ გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ რუსეთი სადაც დიდ შეტევას წამოიწყებს, დასახულ მიზანს მიაღწევს. გასულმა ორმა წელმა აჩვენა, რომ რუსეთის სამხედრო ფორმირებებს არ შეუძლია მასობრივი, დიდი ზურგის გარღვევა და მნიშვნელოვანი ოპერაციების წარმოება, ისინი წინ მიიწევენ, მაგრამ დანაკარგები უფრო მეტია, შესაბამისად, წინსვლის ტემპი ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თვეებში ეს ტემპი გაიზარდა, რუსეთის სტრატეგიულ გამარჯვებაზე ვერ ვისაუბრებთ. თავის მხრივ, იკვეთება სიტუაცია, როცა უკრაინის პრობლემები თვალში საცემია და ეს უკავშირდება ცოცხალი ძალის დანაკლისს, უკრაინა თმობს უფრო ბევრ ტერიტორიას.

**- ამას წინათ უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დასავლეთის სამხედრო დახმარება ათი პროცენტის ფარგლებშია. ეს რას მიანიშნებს?**

- ჩვენ არ ვიცით, უკრაინამ რამდენი პროცენტი დახმარება მიიღო. შეიძლება, ზელენსკის ზემოაღნიშნული განცხადება ზუსტად არ ასახავს რეალობას, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მანიშნებელია იმისკენ დაღლილობის განწყობისა დასავლურ ქვეყნებში. დასავლეთში ვერ ხედავენ ამ კონფლიქტის სწრაფად გადაწყვეტის გზებს, ომისგან დაღლილობის ტენდენციები ვხედავთ უკრაინის მოკავშირეებში - როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქედან გამომდინარე, ამ რეალობას აირეკლავს ზელენსკის განცხადება.

**- სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ ერთი წლის წინ აშშ-ს უკრაინის სამხედრო დახმარებები რომ არ გაეცა, რუსეთი ვერ შეძლებდა დონეცკის ოლქში ქალაქების აღებას.**



- სამხედრო დახმარების გაჩერებამ, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენა იქონია უკრაინის არმიის მდგომარეობაზე ფრონტის მთელ ხაზზე, თუმცა ეს რამდენად იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რთული სათქმელია. ამ დროისთვის უკრაინის არმიის მთავარი პრობლემა არის ცოცხალი ძალის დანაკლისი... ამას ერთვის უკრაინის წინაშე არსებული სირთულეები, რაც უკავშირდება, პირველ რიგში, მობილიზაციის დაგვიანებულ კანონს, ცოცხალი ძალის ნაკლებობას და რუსეთის სტრატეგიული და ტაქტიკური ავიაციის გააქტიურებას ფრონტის მთელ გაყოლებაზე, მათ შორის მართვადი, ეგრეთ წოდებული პლანირებადი ბომბებით, რაც ართულებს უკრაინული არმიის მდგომარეობას ფრონტის ნებისმიერ მონაკვეთზე. სტრატეგიულად, ეს ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შესაძლო სამხედრო დახმარება, ყოველ შემთხვევაში, სამხედრო ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება, რომ მთავარი სტრუქტურული პრობლემა უკრაინის არმიისთვის ამ მომენტში არის ცოცხალი ძალის დანაკლისი და რუსეთის ავიაციის აქტიურად დაბრუნება ბრძოლის ველზე. შესაბამისად, უკრაინის მიერ ტერიტორიების დათმობის მთავარ მიზეზად ამ ფაქტორს უფრო გამოვყოფდი, ვიდრე დახმარების შემცირებას.

**- ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ დასავლეთი არც უკრაინის გამარჯვებით და არც რუსეთის რეალური დამარცხებითაა დაინტერესებული. თუ ასეა, რა მიზანი აქვს მას?**

- მთავარი პრობლემა სწორედ ისაა, რაც თქვით. ზოგადად, ჩვენ არ გვინახავს ამ ომის დასრულებასთან დაკავშირებით დასავლეთისგან მწყობრად გაწერილი სტრატეგია. ასევე, არ ჩანს, როგორი უნდა იყოს იმ პრობლემის ხანგრძლივი, გრძელვადიანი გადაწყვეტა, რასაც რუსეთის ექსპანსიური იმპერიალიზმი ჰქვია. ომის პირველი წლიდან დღემდე დასავლეთის სტრატეგია ამ ომთან დაკავშირებით ფორმირებული იყო შემდეგნაირად: რუსეთს ვერ უნდა მიეღწია სტრატეგიული გამარჯვებისთვის, ეს მიზანი მიღწეულია. ამ თვალსაზრისით, უკრაინამ გაიმარჯვა, მათ შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა მიუხედავად იმ უპირატესობისა, რაც რუსეთს დღეს აქვს... ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რუსეთმა მიაღწიოს სტრატეგიულ მიზანს, ანუ უკრაინის ხელისუფლებაში დასვას მარიონეტული მთავრობა და განაიარაღოს უკრაინული არმია... ამის ალბათობა ნულის ტოლია. ამ თვალსაზრისით, სტრატეგიულ გამარჯვებას რუსეთმა ვერ მიაღწია. სტრატეგიის ამ ნაწილში დასავლეთის მიზანი მიღწეულია, თუმცა ეს არ არის საკმარისი, აქ გრძელვადიან გადაწყვეტაზე უნდა იყოს საუბარი, კერძოდ, იმაზე, თუ როგორი არის დასავლეთის პასუხი რუსეთის აგრესიულ იმპერიალიზმზე, რაზეც დასავლეთში პასუხი ჯერ არ არის... გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რუსეთი თავს არ ესხმის ნატოს წევრ სახელმწიფოებს. აქედან გამომდინარე, უკრაინის მთავარი მიზანი ამ ეტაპზე არის უსაფრთხოების მყარი გარანტიების მიღება, რომ ომი დასრულების შემდეგ არ განმეორდება, ეს იქნება მთავარი განმსაზღვრელი იმისა, თუ ვინ გამოვა ამ ომიდან გამარჯვებული და არა ტერიტორიული კონტროლი ამა თუ იმ ოლქისა. ვფიქრობ, დასავლეთს არ ჰქონდა გამოხატული სტრატეგია, თუ რა სურდა ამ კონფლიქტიდან, ანუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი დასასრული და როგორი უნდა იყოს უკვე შემდეგ ამ პრობლემის პოსტსაომარი გადაწყვეტა.

**- დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევით რა იცვლება მსოფლიოში?**

- ვრწმუნდებით, რომ ეს ტალღა პოპულისტური თუ ულტრამემარჯვენე არ აღმოჩნდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ახალი პოლიტიკური მეინსტრიმი მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, ეს არის ახალი კოალიცია, რომლითაც დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა და მიანიშნებს შეცვლილ პოზიციებზე ამერიკაში... ვხედავთ, რომ დასავლეთში ანტიისტებლიშმენტური ტალღა იზრდება, რაც, როგორც წესი, ახასიათებს რეცესიების შემდგომ პერიოდს. ეს არ არის უცხო, ეს ტენდენციები გასული კრიზისების დროსაც გვახსოვს, მათ შორის, 1930-იან წლებში, როგორიც იყო „რესპუბლიკური პარტია“. ვხედავთ, რომ „რესპუბლიკური პარტია“ უბრუნდება თავის ასი წლის წინანდელ იდეებს, რომელიც გამოხატული იყო საგარეო პოლიტიკური იზოლაციონისტური პოლიტიკით, ხოლო სავაჭრო პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს იყო პროტექციონისტური პარტია. დაახლოებით ამ იდეებს, ამ საფუძვლებს უბრუნდება ამერიკის „რესპუბლიკური პარტია“.

**- ტრამპმა განაცხადა, რომ დაამთავრებს ომს უკრაინაში...**

- შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ დრომდე, სანამ ტრამპი გაიმარჯვებდა საპრეზიდენტო არჩევნებში, მისი მხრიდან განცხადებები მაინც იყო საარჩევნო რიტორიკა. მას პირდაპირ ჰკითხეს, როგორ აპირებდა ომის დამთავრებას, რაზეც თქვა, რომ ამ გეგმას არ გაასაჯაროებს, შემდგომ მის განხორციელებას ხელი რომ არ შეეშალოს.

**- სხვადასხვა დასავლური მედიის ინფორმაციით, ტრამპის გეგმა უკრაინასთან მიმართებით ასეთია: ომის გაყინვა და ნატოს გაფართოების შეჩერება 20 წლით.**

- ეს არის ერთ-ერთი გეგმა, რომელსაც ასახელებენ ტრამპის ირგვლივ მყოფი „რესპუბლიკელები“. არის სხვა გეგმებიც, მათ შორის კელოგის და ფრიცის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ფრონტის ხაზის გაყინვას და მოლაპარაკებების დაწყებას, თუმცა ტრამპის მაგივრად, ძირითადად, საუბრობენ მისი თანაშემწეები. აქედან გამომდინარე, ზუსტად როგორი იქნება ტრამპის სტრატეგია და მიდგომა ამ ომთან დაკავშირებით, რთული სათქმელია. მისი ხასიათიდან გამომდინარე, ამას ვერავინ იტყვის. ის იმპულსურად იღებს გადაწყვეტილებებს, ამიტომ რთულია განსაზღვრა, კონკრეტულად რა სტრატეგია აქვს ტრამპს ამ ომთან დაკავშირებით. არსებობს მოლოდინები, რომ მისი მიდგომა იქნება ეგრეთ წოდებული ძველი „რესპუბლიკური“, რეიგანული ხაზით ნასაზრდოები, რომელიც გულისხმობს მშვიდობას, ოღონდ ძალის გავლით, ძალის მეშვეობით. შესაძლოა, ჩვენ მსგავსი სტრატეგია ვიხილოთ, თუმცა არ ველოდები, რომ ეს იქნება უკრაინის მიტოვება სრულად. ჯერჯერობით ეს ყველაფერი მარჩიელობაა, რადგან ტრამპის მაგივრად საუბრობენ მის ირგვლივ მყოფი ადამიანები და არავინ იცის, კონკრეტულად, ამ ვითარებაში რა მიდგომას არჩევს ახალი პრეზიდენტი.

**- არის მოსაზრება, რომ შესაძლოა, დასავლეთმა უკრაინის ხელისუფლებას ახალი არჩევნების ჩატარება აიძულოს. რამდენად მოსალოდნელია უკრაინის ხელისუფლებაში ანტიდასავლური ლიდერის მოსვლა?**

- რთული სათქმელია, რა შეიძლება მოხდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, სანამ ეს ომი არ დასრულდება, ან მისი ინტენსივობა არ შემცირდება, მგონია, რომ ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება გამორიცხულია. მას შემდეგ, რაც ომის ინტენსივობის შემცირებას ან შეწყვეტას, არჩევნებს ჩატარდება... თვით უკრაინაშიც ბევრი არის ამის მოთხოვნილება. ზელენსკის პოპულარობა ეცემა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ომის შემდეგ, უკრაინაში მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებს ანტიდასავლურმა ლიდერმა, ძალიან ნაკლებია. ჩვენ ვხედავთ, 2014 წლიდან მოყოლებული - ყირიმის ანექსიით და შემდეგ დონბასის ოკუპაციით რუსეთმა ამ უკრაინულ ელექტორატს დააკლო დაახლოებით 5-7 მილიონი რუსულად განწყობილი ადამიანი, ამის შემდეგ პრორუსულად განწყობილი ოპოზიციური პარტიების და ლიდერების პოპულარობა უკრაინაში ათ პროცენტს ვერ სცდება.

**- „სულ რამდენიმე რამ არის, რისი თქმა დანამდვილებით შეგვიძლია ტრამპისგან მოსალოდნელ პოლიტიკაზე,“ - აღნიშნეთ თქვენს ფეისბუქგვერდზე...**

- ჩემი პოსტი დაიწერა, სანამ ტრამპი თავის კაბინეტს შეკრებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, სამივე განსხვავებული ბანაკიდან აღმოჩნდნენ წარმომადგენლები მის კაბინეტში: იზოლაციონისტებისგანაც, პრიოეტისტებისგანაც („რესპუბლიკელები“, რომლებიც რესურსების დაზოგვას და ჩინეთთან დაპირისპირებაზე კონცენტრირებას ემხრობიან) და „ქორებისგანაც“. არ გამართლდა მოლოდინები, რომ ტრამპის ახალ ადმინისტრაციაში საგარეო პოლიტიკის სათავეში მოვიდოდნენ იზოლაციონისტები. ვხედავთ, რომ პირიქით - განსხვავებული ბანაკის წარმომადგენლები შევიდნენ, მათ შორის ვგულისხმობ მარკო რუბიოს, რომელიც სახელმწიფო მდივნად დაინიშნა, მაგრამ ამ ბანაკშიც, იგივე უკრაინის საკითხში, არის განსხვავებული აზრი. აქედან გამომდინარე, ტრამპის ირგვლივ მცურავი „რესპუბლიკელები“ თანხმდებიან, რომ, პირველ რიგში, გაგრძელდება ისრაელის დახმარება და აქ სრული თანხმობაა; მეორე - ევროპელ მოკავშირეებს მოუწევთ თავდაცვაზე ხარჯების ზრდა, რაც იყო ტრამპის მიზანმიმართული პოლიტიკა მისი პირველი პრეზიდენტობის ვადის დროს, მეორე ვადაშიც ეს გაგრძელდება; მესამე - ირანის მიმართ სანქციები უფრო მკაცრი იქნება, დაბრუნდება მაქსიმალური წნეხის რეჟიმი. ასევე, დაგეგმილია ამერიკის ენერგეტიკული პოტენციალის გათავისუფლება დაწესებული შეზღუდვებისგან და ფასების გაიაფება. ეს არის პროგრამა, რაზეც „რესპუბლიკური პარტიის“ ყველა ფრაქცია თანხმდება. ამას ემატება ჩინეთის მიმართ მაქსიმალურად მკაცრი ხაზის გატარება, მათ შორის, ტარიფებისა და, ზოგადად, პოლიტიკური წნეხის თვალსაზრისით. ამაზე მიუთითებს ტრამპის მიერ შერჩეული კადრები... ეს არის ის საკითხები, რაზეც ყველა ბანაკს შორის სრული თანხმობაა. დანარჩენი არის მოლაპარაკების და კომპრომისის გზით გადასაწყვეტი, რაც, პირველ რიგში, დამოკიდებული იქნება აშშ-ის ახალი პრეზიდენტის პერსონალურ აზრზე გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით.

**- ზოგიერთი ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ტრამპმა ნავთობზე ფასები დაწიოს. რამდენად რეალურია ეს?**

- არის მოლოდინი, რომ დარტყმის ხაზი იქნება ნავთობზე ფასის დაწევა. მიუთითებენ საუდის არაბეთთან ტრამპის კარგ ურთიერთობაზეც. მეტსაც გეტყვით: დაახლოებით ერთი თვის წინ საუბარი იყო, თითქოს საუდის არაბეთის პრინცი აპირებდა ნავთობის ფასების დაგდებას „ოპეკის“ მეშვეობით. საუდის არაბეთი წლების განმავლობაში ცდილობდა, სამიზნე ფასი ასი დოლარი ყოფილიყო, შესაბამისად, ამით განისაზღვრებოდა ნავთობის მოპოვება. რაც უფრო მცირე იყო მოპოვების მასშტაბი, მით უფრო მაღლდებოდა ფასიც. როგორც ერთი თვის წინ იწერებოდა, საუდის არაბეთში გადაწყვიტეს, უარი თქვან სამიზნე ფასზე და შეამცირონ ნავთობის ფასი. არ არის გამორიცხული რაიმე მსგავსი ვიხილოთ ამჟამადაც მისი მხრიდან. რა თქმა უნდა, სავარაუდოა, ამერიკის თანხმობით, ფასები ნავთობზე მკვეთრად შემცირდეს და ამას ხელს უწყობს მსოფლიოში არსებული ვითარებაც, იქნება ეს ელექტრომობილების წარმოება თუ ეკონომიკური ფაქტორი. როგორც ვხედავთ, რეგიონში რამდენიმე ომი მიმდინარეობს, კერძოდ, ღაზის სექტორში, ლიბანში, დაძაბულობაა ირანსა და ისრაელს შორის და ამ დაძაბულობის მიუხედავად, ნავთობის ფასი მაინც სტაბილურია... მოკლედ, ნავთობზე ფასის შემცირება საკმაოდ რეალისტურია, ეს რუსეთის ეკონომიკისთვის იქნება საგრძნობი დარტყმა, რადგან მისი შემოსავლის დაახლოებით 30 პროცენტი სწორედ სანავთობო და გაზის ექსპორტზე მოდის. ამასთან, გააჩნია როგორი იქნება ეს შემცირება. რუსეთის ბიუჯეტის მიხედვით, მიმდინარე წელს ნავთობის გასაყიდ ფასად განისაზღვრა 45-47 დოლარი, საუბარია რუსულ ნავთობზე. აქედან გამომდინარე, თუ ფასი 45 დოლარს ჩამოსცდება, ეს რუსეთის ბიუჯეტისთვის სერიოზული პრობლემა იქნება.

**- ყველა დიდი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ახალი წესრიგი ყალიბდება...**

იხ. მე-9 გვ.

*„ტრამპის ირგვლივ მცურავი „რესპუბლიკელები“ თანხმდებიან, რომ, პირველ რიგში, გაგრძელდება ისრაელის დახმარება და აქ სრული თანხმობაა; მეორე - ევროპელ მოკავშირეებს მოუწევთ თავდაცვაზე ხარჯების ზრდა, რაც იყო ტრამპის მიზანმიმართული პოლიტიკა მისი პირველი პრეზიდენტობის ვადის დროს, მეორე ვადაშიც ეს გაგრძელდება; მესამე - ირანის მიმართ სანქციები უფრო მკაცრი იქნება, დაბრუნდება მაქსიმალური წნეხის რეჟიმი*

# ნინო რაზმაძე ისევ აჭარის მთიანეთის ფოლკლორითაა დაინტერესებული

*მუსიკოლოგიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ დირექტორი, ეთნომუსიკოლოგი* ***ნინო რაზმაძე*** *სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული აჭარის მთიანეთის ფოლკლორს ეფერება. მისი წამოწყებაა „ერთი ხეობის ფოლკლორის საღამოები“, რომელიც თბილისის კონსერვატორიაში იმართება. ნინოს ამ წამოწყებასა და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ*



**- ქალბატონო ნინო, 2 ათეულ წელზე მეტია გასული იმ დროიდან, როცა სტუდენტი გოგონა ზურგჩანთით აჭარის მთიანეთის სოფლებში დადიოდით და აქ შემონახული ფოლკლორის ნიმუშების ვიდეოჩანაწერებს აკეთებდით. რამდენად წაადგა მომავალ სამეცნიერო მუშაობას ეს წამოწყება?**

- მადლობა ამ თემებით დაინტერესებისთვის. ზოგადად, კვლევისთვის თითოეული ნიმუში უაღრესად მნიშვნელოვანია. ყველაფერს თავისი ფასი, ისტორია, ადგილი აქვს. ჩემ მიერ ჩაწერილი მასალები დაარქივებულია და მსურველთათვის ხელმისაწვდომია, აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა გამოცემაში, კვლევებში. თუმცა, ვიტყოდი, რომ ჩემს შრომას პრაქტიკული კუთხით მეტი შედეგები ჰქონდა. სოფლებში აღდგა ტრადიციული სიმღერები, განვითარდა ფოლკლორი, ტურიზმი, დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდა მოსახლეობას.

**- ჩვენი გაზეთის მკითხველი თქვენს ინტერვიუებს კარგად იცნობს, მაგრამ აკადემიური დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ ინტერვიუს პირველად ვწერთ. რა იყო ამ ნაშრომის თემა?**

- ჩემი ნაშრომის თემა გახლდათ ტრადიციული საკრავები და საკრავიერი მუსიკა. პირველი თავი ეთმობოდა ტერმინოლოგიას და განხილული იყო უზარმაზარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, მათ შორის, 80-მდე ბიბლიური ხელნაწერი, ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი წერილობითი წყაროები, სულხან-საბას და სხვა ლექსიკონები. მეორე თავი საკრავთა სოციალურ ფუნქციას ეხებოდა. აქ განხილულია, ფაქტობრივად, ყველა ის კონტექსტი, რა კონტექსტშიც გვხვდებოდა ძველად და ახლა ქართული ტრადიციული საკრავები. მესამე და მეოთხე თავები ეთმობოდა საკრავის ერგოლოგიურ (ფიზიკური მონაცემები) და მუსიკოლოგიურ საკითხებს.

**- 20 წლის განმავლობაში მერისის, ჭვანის, მარეთის ხეობების ფოლკლორი გააცანით მრავლის მნახველ და ხელოვნების თაყვანისმცემელ თბილისელ მაყურებელს. როგორი იყო მათი და ფოლკლორის მკვლევართა გამოძახილი?**

- ზოგადად, ჩვენს პროექტებს ყოველთვის ძალიან კარგი გამოხმაურება აქვს, რაც, პირველ რიგში, ბენეფიციარების დამსახურებაა. აჭარული ფოლკლორი უნიკალურია თავისი ხასიათით, მუსიკალური მახასიათებლებით, ტექსტით და ა.შ. როცა ამას ემატება საკრავი, ცეკვა, ზეპირსიტყვიერება და ეთნოგრაფია, მაყურებელი მთიან აჭარაში მოგზაურობს. მკვლევართათვის მუდამ საინტერესოა ახალი, აღდგენილი სიმღერების მოსმენა და უნიკალური შემსრულებლების ხილვა სხვადასხვა მაღალმთიანი სოფლებიდან, რომლებიც ჩვენს საღამოებში მონაწილეობენ.

**- სექტემბერ-ოქტომბრის გასაყარზე თბილისმა მარეთელებს უმასპინძლა. ამ საღამოთი ამთავრებთ მათთან ურთიერთობას თუ ჭვანელთა მსგავსად ბათუმშიც გამართავთ საღამოს?**

- აუცილებლად. ეს არის ორივე მხარის სურვილსა და მონდომებაზე დამოკიდებული, თუმცა, ჩვენ მზად ვართ, კვლავ ჩავერთოთ სამუშაოებში.

**- ჯერი რომელი ხეობის ფოლკლორზეა?**

- დიდი სურვილი გვქონდა, ანალოგიური პროექტები ხულოში გაგვეკეთებინა, თუმცა თავის დროზე პანდემიამ შეგვიშალა ხელი. ახლა, როცა დრო ასეთი დაჩქარებულია და ნებისმიერი აქტივობა გართულებულია, არ ვიცი მოვახერხებთ თუ არა. სურვილი და მოლოდინი დიდია.

**- მერისის ხეობასთან კომერციული ურთიერთობებიც გაკავშირებთ. რა სტადიაშია იქ წამოწყებული ბიზნესი?**

- მერისის ხეობაში სათამაშოებისა და საბავშვო ავეჯის ენერგოეფექტური საწარმო გავაკეთე, სადაც ევროპული სტანდარტების პროდუქტი მზადდება. კომპანიას „გოგორა“ დავარქვი. სიტყვა აჭარული დიალექტიდანაა და ბორბალს ნიშნავს. ამჟამად, მონტესორის განმავითარებელ ავეჯს ვამზადებთ და ქართულ ბაზარზე მომხმარებლისთვის ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი კომპანიაა, რომელიც ხარისხით და მომხმარებელზე ზრუნვით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

**- ფოლკლორი, მეცნიერული კვლევა და ამასთან, ერთობ საპატიო და მისასალმებელი მოვალეობა - 4 შვილის დედობა... როგორ ასწრებთ ამდენს?**

- ეს ყველაფერი 20 წლის განმავლობაში დაგროვდა. ამ კითხვაზე ჩემი პასუხი არის, რომ ვერ ვასწრებ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა პრიორიტეტი და ყოველთვის აკლდება ყურადღება რომელიღაც პრიორიტეტულ საკითხს. ზოგადად, ძალიან მეხმარება სისწრაფე. წლების განმავლობაში ჩამომიყალიბდა სხარტად მუშაობის უნარი, რაც მეხმარება პროცესების ეფექტურად მართვაში.

**- 4 შვილის გამზრდელი დედა განვლილი ცხოვრების გზაზე როგორ აფასებთ საკუთარი დედის როლს?**

- დედობა ჩემი ცხოვრების ცენტრალური როლია, რომელიც მუდმივად შინაგანი და გარეგანი გამოწვევებით არის სავსე. რაც მთავარია, მყავს ჯანმრთელი შვილები, გვაქვს სიყვარულით სავსე ურთიერთობა. ყველაფერი დანარჩენი მოგვარებადია.

**- ქალი, დედა... ქართველი ქალის უპირველეს მოვალეობად რას მიიჩნევთ?**

- ვთვლი, რომ სქესს ეროვნება არ აქვს. ზოგადად, ქალების თუ კაცების მთავარ მოვალეობად ამ სამყაროში საკუთარ თავთან და გარემოსთან ჰარმონიაში ყოფნა მიმაჩნია.

**- მრავალი გოგონა, დროის გადასახედიდან, ნაადრევ ასაკში ოჯახის შექმნას ნანობს. ამ მოსაზრებაზე თქვენი პოზიცია როგორია?**

- კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. გარდა იმისა, რომ 18 წლამდე კანონიერიც არ არის, ვთვლი, რომ ოჯახი ზრდასრულ ასაკში უნდა შეიქმნას, სადაც ორივე მხარე დამოუკიდებელია, შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება და გააზრებულად შვილების აღზრდა.

**- გურიაში დაბადებულსა და გაზრდილს, ვინ გყავდათ სათაყვანებელი მუსიკასა და ეროვნულ ფოლკლორში?**

- გურული ფოლკლორი იყო და იქნება ჩემთვის ამოსავალი წერტილი.

**- შვილები ფოლკლორისადმი რა დამოკიდებულებას იჩენენ?**

- შვილებს ძალიან მოსწონთ ჩემი საქმიანობა. ხშირად ესწრებიან ჩემ მიერ გამართულ კონცერტებს, კონფერენციებს. მათთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ხედავდნენ მშრომელ დედას, რომელიც საზოგადოებაშიც აქტიურია და საყვარელ საქმეს აკეთებს.

**- მრავალგზის გითქვამთ იმ ადამიანებზე, რომლებმაც საგზლად ფოლკლორისადმი სიყვარული გამოგაყოლეს. ბოლო დროს მათ რიგებს ვინ შეუერთდა? საღამოების გამართვა მატერიალურ თანადგომასაც საჭიროებს...**

- ცხადია, ნებისმიერი აქტივობა ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს. ფოლკლორის სფეროს უპრეცედენტო მხარდამჭერია ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი და მისი მეუღლე, ქალბატონი ნანა გოთუა. ქალბატონი ნანა, გარდა იმისა, რომ ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელია ბატონ ვანოსთან ერთად, გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც გახლავთ. ჩვენი ბოლო ღონისძიების მხარდამჭერი სწორედ ეს უნივერსიტეტი იყო. კურსდამთავრებული ნიკოლოზ მესხორაძე მუშაობდა მარეთის ხეობაში და აქტიურად იყო ჩართული კონცერტის ორგანიზებაში. ჩვენი ღონისძიებების მუდმივი მხარდამჭერები არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ბატონებს - ომარ ტაკიძეს, ფრიდონ ფუტკარაძეს და ანზორ ბოლქვაძეს. მათი მხარდაჭერის გარეშე ჩვენი აქტივობები, ფაქტობრივად, არასდროს ტარდება.

**- კონსერვატორიის კვლევის ცენტრის დირექტორი, რას აკეთებთ სტუდენტებისა და მომავალი ფოლკლორისტების პროფესიული დაოსტატებისთვის?**

- ჩვენი ცენტრის მთავარი მიმართულება სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფაა. სასწავლო პროცესში ნაკლებად ვართ ჩართულები. გვაქვს უცხოელთათვის განკუთვნილი სასერტიფიკაციო კურსი, რომელიც ინგლისურად ტარდება. გარდა ამისა, გვაქვს მდიდარი საბიბლიოთეკო ბაზა და არქივი, რომელიც მუდამ მზადაა, იყოს სტუდენტების და მკვლევრების სამსახურში. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ვმართავთ ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებს, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან არაერთი ცნობილი და აღიარებული მეცნიერი გვსტუმრობს. საქართველოში მსგავსი დონის კონფერენციაზე დასწრებისა და მონაწილეობის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ჩვენი სტუდენტების პროფესიულ ზრდას.

**- რომელიმე მათგანი აჭარის მთიანეთის ფოლკლორის კვლევით ხომ არ ინტერესდება?**

- აჭარის მთიანეთით აქტიურად დავაინტერესეთ გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები. არაერთი სასწავლო პროექტი და ექსპედიცია განვახორციელეთ. ჩვენი 10-მდე სტუდენტი იყო ჩართული აჭარასთან დაკავშირებულ პროექტებში და აქვთ მუდმივი კონტაქტი მთიანი აჭარის ფოლკლორულ მომღერლებთან. მათივე ინტერესია ხულოშიც ანალოგიური პროექტების ჩატარება.

**- მერისის ხეობაში, როგორც აღვნიშნეთ, კომერციული ობიექტი გაიჩინეთ. თუ მიგიწევთ გული, რომ აჭარა-გურიის მთის კურორტებზეც დასასვენებელი კერა გქონდეთ?**

- ჩემი მთავარი პრობლემა დროის დეფიციტია. დრო რომ მაქვს, ყოველთვის სიამოვნებით ავდივარ მთიან აჭარაში. საკუთარი კერის მოთხოვნილება არ მაქვს, იმდენი სტუმართმოყვარე მეგობარი და ახლობელი მყავს.

**- მრავალ მეცნიერს, ხელოვნების ქომაგს სურს უცხოეთში გასვლა და იქ მუშაობა. თქვენი პოზიცია როგორია?**

- უცხოეთში ცხოვრებაზე არასდროს მიფიქრია. ყოველთვის ვცდილობდი, ჩემს საქმიანობაში დამენერგა ის მიღწევები და მიმართულებები, სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებსა ან კონფერენციებში რომ მომწონდა. ჩემს ქვეყანაში თავს კარგად ვგრძნობ და მიმაჩნია, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ. ზუსტად ვიცი, პროევროპულ საქართველოში ვცხოვრობ და სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.

**- შვილების სურვილს, უცხოეთში იცხოვრონ, როგორ შეხვდებოდით?**

- სავარაუდოდ, ჩემი შვილები მიიღებენ განათლებას უცხოეთში, რასაც მივესალმები. ვისურვებდი, ისინი აღიზარდონ პროფესიონალებად და თავიანთი ცოდნა ჩვენს ქვეყანას მოახმარონ.

# საკონსულტაციო შეხვედრა

***ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახური (US ODC), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად, მუშაობს პროექტზე, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავდება საგანგებო მართვის გეგმები. მიმდინარე წელს საპილოტე მუნიციპალიტეტად ხულო შეარჩიეს***

ხულოს მუნიციპალიტეტისათვის საგანგებო მართვის გეგმის შედგენასთან დაკავშირებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

ამ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ჯამბულატ მელაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის, ორმხრივი თანამშრომლობის ოფიცერს, მაიორ ალექ ჰარისონს საგანგებო მართვის გეგმის პროექტის მიზნებსა და გეგმებზე კონსულტაციისთვის შეხვდნენ.



შეხვედრას, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, სამოქალაქო უსაფრთხოების პოლკოვნიკი ლაშა თვაური, აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი, სამოქალაქო უსაფრთხოების პოლკოვნიკი ჯუმბერ ბათაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის კოორდინაციის სამმართველოს უფროსი, სამოქალაქო უსაფრთხოების მაიორი ვახტანგ ბოლქვაძე, პრევენციის, დაგეგმვისა და მზადყოფნის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი ბაპუნა კვიცინია და ხულოს სახანძრო-სამაშველო განყოფილების უფროსი, სამოქალაქო უსაფრთხოების პოლკოვნიკი ლევან დეკანაძე ესწრებოდნენ.

საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ დაიწყეს საგანგებო მართვის გეგმის შედგენაზე მუშაობა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

# სანოტარო სერვისი – მოქალაქეთა სამსახურში

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

***სანოტარო მომსახურება თანდათან მეტ დატვირთვას იძენს ჩვენს რეალობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო მასშტაბის ოპერაციების ონლაინრეჟიმით შესრულება გახდა შესაძლებელი. ძალიან ბევრი საკითხის სანოტარო წესით მოგვარება გაცილებით იოლი და უსაფრთხოა. სწორედ ამიტომ მოქალაქეები ცდილობენ ნებისმიერი დოკუმენტის ნოტარიუსთან დამოწმებას***

*საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წევრი* ***ნათია სვანიძე*** *თვლის, რომ „კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით სანოტარო სერვისის პოპულარობის მიზეზს მისი მარტივად და კომფორტულად მიღების შესაძლებლობა განაპირობებს. განსაკუთრებით აქტუალურია იგი უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის. მათ აღარ უწევთ საკონსულოში მისვლა, ზედმეტი თანხისა და დროის დახარჯვა, ონლაინ უკავშირდებიან საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ნოტარიუსს (ნოტარიუსების კოორდინატები განთავსებულია ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე notary.ge) და საცხოვრებელი ადგილიდან გაუსვლელად იღებენ სანოტარო მომსახურებას. ინტერნეტის მეშვეობით დამოწმებული სანოტარი აქტი ისეთივე სანდოა, როგორც სანოტარო ბიუროში შესრულებული. ნოტარიუსს წვდომა აქვს საქართველოს მოქალაქეთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე და მხოლოდ ონლაინ დაკავშირებული მოქალაქის იდენტიფიცირების შემდგომ ამოწმებს სანოტარო აქტს“.*

***კონკრეტულად რა მომსახურების გაწევაა შესაძლებელი ინტერნეტით და რა სიახლეებია ამ მხრივ? - ამაზე გვესაუბრება ქალბატონი ნათია ამ ინტერვიუში.***



***„ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ***

- კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესაძლებელია შემდეგი სანოტარო მოქმედებების შესრულება: ნებისმიერი სახის თანხმობა, განცხადება, მინდობილობა/რწმუნებულება. აღნიშნული სანოტარო მოქმედებების შესრულება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან. ასევე, ონლაინრეჟიმში შეიძლება საჯარო აქტის ფორმით დადასტურდეს გარიგება ორი ან მეტი ნოტარიუსის მონაწილეობით, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური პირის პირადობას, სანოტარო მოქმედების კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესრულებისას, ნოტარიუსი ადგენს პირის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. ნოტარიუსი ვალდებულია, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, დამატებით გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემები.

**- როგორ მოწმდება ონლაინრეჟიმში მინდობილობა?**

- მინდობილობის/რწმუნებულების დამოწმება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული კომუნიკაცია, სანოტარო მოქმედების შესრულებისას, იძლევა მინდობილობის/რწმუნებულების გამცემის და ნოტარიუსის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას და შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება კანონით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა სანოტარო მოქმედების ჩაწერა ვიდეოფაილის სახით, რომელიც უნდა ჩაიწეროს ელექტრონული მონაცემების შემნახველ საშუალებაზე (მაგ. კომპაქტდისკზე), რომელიც თან უნდა დაერთოს სანოტარო აქტს ან სანოტარო რეესტრს. ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციისას სრულად უნდა აღიქმებოდეს (უნდა იყოს მაღალი ხარისხის ვიდეოკავშირი) საიდენტიფიკაციო დოკუმენტზე დატანილი ფოტოსურათი და ამავე გვერდზე არსებული ყველა საჭირო რეკვიზიტი. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით მინდობილობის/რწმუნებულების დამოწმებისას, მინდობილობის/რწმუნებულების გამცემი პირის ნაცვლად და მისი თხოვნით, ხელს აწერს სხვა პირი, ამასთან, ხელმომწერი პირის გარდა, სავალდებულოა დამატებით მოწმის დასწრებაც, რომელიც ხელს აწერს სანოტარო აქტს.

**- ვთქვათ, ვიმყოფები ბათუმში, ვერ ვახერხებ თბილისში ჩასვლას. როგორ დავამოწმო ხელშეკრულება სანოტარო წესით ინტერნეტის მეშვეობით?**

- გარიგება, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი მხარე, შეიძლება დამოწმდეს საჯარო აქტის ფორმით ორი ან მეტი ნოტარიუსის მონაწილეობით, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით იმგვარად, რომ გარიგების მონაწილე ერთი ან რამდენიმე მხარე წარსდგეს ერთ ნოტარიუსთან, ხოლო სხვა, შესაბამისად, სხვა ნოტარიუსთან, თუ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა გარიგების ყველა მხარის და ნოტარიუსების ერთდროული პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას (ტელეკონფერენცია). სანოტარო მოქმედების მონაწილე ყველა პირი ხელს აწერს გარიგების იდენტურ ტექსტს.

**- როგორ გადავამოწმო, რეგისტრირებულია თუ არა ჩემი სანოტარო აქტი?**

- ინფორმაცია შესრულებული სანოტარო მოქმედებების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ და გადაამოწმოთ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ოფიციალურ ვებგვერდზე www.notary.ge, ბანერზე - „სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეესტრი“.

**- სად უნდა გადავამოწმო, არის თუ არა ანდერძი გაუქმებული ან შეცვლილი?**

- ანდერძების ერთიან რეესტრთან წვდომა აქვს ყველა ნოტარიუსს, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ არის განხორციელებული ჩანაწერი სანოტარო რეესტრში, შესაბამისად, მოანდერძის გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, ნებისმიერ ნოტარიუსთან შეგიძლიათ გადაამოწმოთ ანდერძის არსებობის, მისი შეცვლის ან გაუქმების შესახებ ინფორმაცია.

**- თუ მსურს ჩემი ანდერძის გაუქმება, როგორ უნდა მოვიქცე?**

- მოანდერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი: ა) ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება; ბ) სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით; გ) ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით მოანდერძის მიერ ან ნოტარიუსის მიერ მოანდერძის განკარგულებით.

**- ნოტარიუსის არქივიდან მინდა ჩემს სახელზე შედგენილი ანდერძის მიღება. მაქვს ამის უფლება?**

- „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, ანდერძის შესახებ ნებისმიერი ცნობა ან ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ იმ პირობით, თუ წარდგენილი იქნება მოანდერძის გარდაცვალების მოწმობა.

**- მამაჩემმა, რომელიც გარდაიცვალა, დატოვა ორი ანდერძი. აქედან ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, მეორე კი არა. რომელი უნდა წარვადგინო?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ ერთმა პირმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს ენიჭება.

**- როგორ უნდა გავხდე მემკვიდრეობით მიღებული ქონების მესაკუთრე?**

- სამკვიდროს მიღების გზები კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობისათვის ერთნაირია. იმისათვის, რომ პირი გახდეს მემკვიდრე, მან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა. სამკვიდროს მიღების აქტი უნივერსალურ ხასიათს ატარებს. თუ მემკვიდრემ მიიღო სამკვიდროს გახსნის ადგილას არსებული ქონება, იგულისხმება, რომ მიიღო მთლიანი მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის მიღების შემდეგ მემკვიდრე ხდება სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი. სამკვიდროს მიღება რაიმე პირობით არ დაიშვება, ასევე დაუშვებელია რაიმე ქონების და ნივთის გამოყოფა და მხოლოდ მისი მიღება. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, თქვენთვის დატოვებული ქონების მესაკუთრე რომ გახდეთ, უპირველესად უნდა მიიღოთ სამკვიდრო მოწმობა, ანუ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. სამკვიდრო მოწმობას გასცემს მხოლოდ ნოტარიუსი.

**- რა ვადაში უნდა წარვადგინოთ განცხადება ნოტარიუსთან?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით, სამკვიდრო უნდა მიიღო ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. აღნიშნული ექვსთვიანი ვადა, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა გააგრძელოს სასამართლომ. სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლოსთვის მიმართვა არ იქნება საჭირო, თუ ყველა მემკვიდრე თანახმაა თავისი წილიდან კუთვნილი ქონება გამოუყოს მემკვიდრეს. სამკვიდრო მიღებულად ითვლება სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით ან მართვითაც, რაც, უდავოდ, მოწმობს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო. ქონების ფაქტობრივი ფლობა შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. კერძოდ, ასეთია მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში (რაც უნდა დასტურდებოდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით), რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა, ასევე, მამკვიდრებლის ნივთების გადატანა (მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში) და შენახვა თავისთან, რათა შემდეგ მოხდეს მისი განაწილება მემკვიდრეთა შორის (მათი არსებობის შემთხვევაში). ქონების ფაქტობრივ მართვაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც მემკვიდრე ფაქტობრივად არ ფლობს ამ ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებით დასტურდება, რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს, მაგალითად, სამკვიდროს გახსნის შემდეგ იხდის გადასახადებს და ასე შემდეგ. როგორც ქონების ფაქტობრივი ფლობის, ისე ფაქტობრივი მართვის შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს და მოითხოვოს სამკვიდროს მიღება. ასეთი ტიპის მემკვიდრეობის დროს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადები არ არსებობს, რადგან იგულისხმება, რომ ქონება მემკვიდრის მხრიდან ისედაც მიღებულია და სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსთან მისვლა და ოფიციალური სახის მიცემა მხოლოდ მემკვიდრის ნებაზეა დამოკიდებული.

**- რა ვადაში გაიცემა სამკვიდრო მოწმობა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან?**

- სამკვიდრო მოწმობა გაიცემა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ნებისმიერ დროს.

**- რა დოკუმენტაცია უნდა წარვადგინო ნოტარიუსთან?**

- სამკვიდრო მოწმობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ერთიანი ნუსხა არ არსებობს. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა დამატებით დოკუმენტების წარდგენა გახდეს საჭირო, მაგრამ რაც აუცილებლად დაგჭირდებათ, ეს არის: 1) გარდაცვალების მოწმობა; 2) მემკვიდრესა და მამკვიდრებელს შორის არსებული ნათესაური კავშირის დამდგენი დოკუმენტი: ა) თუ მეუღლე ხართ, ამას ადასტურებს ქორწინების მოწმობა; ბ) თუ შვილი ხართ - დაბადების მოწმობა; გ) თუ ნაშვილები ხართ - შვილად აყვანის მოწმობა და ასე შემდეგ (გახსოვდეთ: რაც უფრო მომდევნოა თქვენი მემკვიდრეობის რიგითობა, ამ დოკუმენტების ჩამონათვალი გაიზრდება): 3) განცხადება; 4) თუ განცხადების არ შეიტანეთ გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში, ნოტარიუსს წარუდგენთ იმ დოკუმენტებს, რაც დაადასტურებს, რომ თქვენ დაეუფლეთ სამკვიდროს დამტოვებლის ქონებას. ამ დოკუმენტების დასახელება მიანდეთ ნოტარიუსს; 5) მემკვიდრეობით მისაღები ქონების გარდაცვლილისადმი კუთვნილების დამდგენი დოკუმენტი; 6) ანდერძი - თუ ხართ ანდერძისმიერი მემკვიდრე. ეს ჩამონათვალი სრული და ამომწურავი არ არის. ყოველი სამკვიდრო საქმე განსხვავებულია. მითითებულთაგან შესაძლოა, ორი დოკუმენტის წარდგენაც კი აღმოჩნდეს საკმარისი, მაგრამ შესაძლოა, პირიქით - ჩამონათვალს სხვა დოკუმენტებიც დაემატოს.

**- ვინ მიიჩნევა მემკვიდრედ?**

- კანონით მემკვიდრეთა რიგითობას განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი. კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ; მეორე რიგში - გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა; მესამე რიგში - ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან. მეოთხე რიგში - ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები; მეხუთე რიგში - ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ - მათი შვილები.

**- თუკი არ მინდა მემკვიდრეობით მიღებული ქონების მიღება, როგორ უნდა მოვიქცე?**

იხ. მე-9 გვ.

# „იამაყებთ ყველა იმ წუთით, როდესაც დანებება გინდოდათ და არ დანებდით“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ყოველთვის იცოდა, რომ რაც უნდა წარმატებისთვის მიეღწია და საინტერესო შემოთავაზებები ჰქონოდა, მაინც თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, სწორედ მასში ჩაედო ის რესურსი, ცოდნა, რაც საზღვარგარეთ მიიღო. ასეც მოხდა - რამდენიმე თვის წინ საქართველოს, კონკრეტულად კი მშობლიურ ბათუმს დაუბრუნდა და აქტიურად ჩაერთო საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საქმიანობაში, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მუშაობს და ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს აღნიშნული სფეროს წარმატებასა და განვითარებაში*

*ეს ძალიან საინტერესო და პერსპექტიული ახალგაზრდა გოგონა დღეს გაზეთ „აჭარის“ სტუმარი* **მარიამ ჯაყელია.** *იგი თავის გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება, ასევე, იმაზე, თუ რა უნდა გაითვალისწინონ ახალგაზრდებმა, რომლებსაც ევროპაში სწავლა სურთ.*



**- მარიამ, ერთი წელი სწავლობდით და ცხოვრობდით ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში, ხოლო 6 თვე საფრანგეთის ქალაქ შამბერიში. მოგვიყევით, როგორი იყო თქვენი ყოველდღიურობა იქ, რა გამოცდილება მიიღეთ ამ პერიოდში?**

- ლიეტუვასა და საფრანგეთში ჩემი ყოველდღიურობა ძალიან მრავალფეროვანი აქტივობებით იყო დატვირთული. დილას საკმაოდ ადრე ვდგებოდი, რადგან ლექციები ყოველთვის 9 ან 10 საათზე იწყებოდა. საზოგადოება იმდენად პუნქტუალური და მოწესრიგებული იყო, რომ მეც ვისწავლე დროის სწორი მენეჯმენტი და დაგეგმარება. ამასთანავე, ლექციები არა მხოლოდ თეორიული სწავლებით, არამედ პრაქტიკული კომპონენტითაც იყო დატვირთული (პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, სხვადასხვა ნაშრომის მომზადება და წარდგენა,) საკმაოდ აქტიურ რეჟიმში ვიყავი, ხშირად თავისუფალი დროის გამონახვაც კი მიჭირდა. ინტენსიურად ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენციები, სადაც აქტიურად ვმონაწილეობდი, მაგალითად, ბალტიის საერთაშორისო არბიტრაჟის დღეებში. მოწვეული ტრენერები დაინტერესებულ პირებს ტრენინგკურსებს გვიტარებდნენ, გვიზიარებდნენ ამერიკულ გამოცდილებას გადახდისუუნარობის სამართალთან დაკავშირებით. იმიტირებულ საარბიტრაჟო და კერძო სახის ქეისებთანაც გვქონდა შეხება. ძალიან გავიზარდე ამ მხრივ, საჯარო გამოსვლის უნარებიც დავხვეწე და უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს ამ ამპლუაში. უშუალოდ სამსახურებრივ გამოცდილებას რაც შეეხება, ჩემი ყოველდღიურობა სწავლისა და მუშაობის შეთავსებაში გამოიხატებოდა. ლიეტუვაში ძალიან მოქნილი სამუშაო გრაფიკია. სამსახურს დილის 7 საათზე ვიწყებდი და 16:00 საათზე ვასრულებდი. პროცესი ძალიან საინტერესო, დატვირთული და გამოწვევებით სავსე იყო. განსხვავებული სირთულეების, სხვადასხვა ენობრივი ბარიერის (80 იურისდიქციის ფარგლებში მიწევდა მუშაობა) დაძლევა მიხდებოდა და ამ ყველაფერმა ძალიან გამზარდა და ჩამომაყალიბა.

**- რა გამოწვევების წინაშე დგებიან სტუდენტები უცხოეთში და დღევანდელი გადასახედიდან, რას ურჩევთ მათ, ვისაც საზღვარგარეთ სხვადასხვა პროგრამის გავლა სურთ?**

- სანამ უშუალოდ უცხოეთში არსებულ მდგომარეობას განვიხილავ, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტების ცხოვრება ადრე ძალიან მარტივი მეგონა, თუმცა როდესაც ეს თავად გამოვცადე, მივხვდი, რამდენად რთული, გამოწვევებით სავსე გზაა. ხარ სრულიად მარტო ცხოვრების ყველა ასპექტსა და მიმართულებაში. პირველი ეტაპი იყო უცხო კულტურასთან ადაპტაცია, ჩვეულებების გაცნობა, ურთიერთობების დამყარების სირთულეები ადგილობრივ სოციუმთან. ამას გარდა, ყოველთვის თან გდევს სამშობლოსა და საყვარელი ადამიანების მონატრება, ზოგჯერ უფრო მძაფრად, ზოგჯერ შედარებით ნაკლებად... ადგილობრივი ენის ცოდნის ბარიერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ხშირად სერვისები სწორედ ამ ენაზეა ხელმისაწვდომი და ეს ძალიან არაკომფორტულ გარემოს უქმნის უცხოელ სტუდენტებს. მცირე ქართული დიასპორაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მაგალითად, საფრანგეთში. რაც შეეხება რჩევებს, თავდაპირველად, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებაც საზღვარგარეთ სწავლის მსურველ ქართველ სტუდენტებს შეუძლიათ. პირადად მე სწავლის ფინანსური მხარდაჭერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სწავლა საზღვარგარეთ“ პროგრამის ფარგლებში მივიღე, შემდგომ კი, უშუალოდ სწავლის პროცესში, ერასმუსის პროგრამის ფარგლებში დამაფინანსეს და უნივერსიტეტის შიდა დაფინანსებაც მოვიპოვე აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე. უცხოეთში ცხოვრებამ მიმახვედრა, რამდენად დიდი შესაძლებლობები გვეძლევა იქ ახალგაზრდებს, მთავარია, ინფორმაციაზე გვქონდეს წვდომა. მაგალითად, ლიეტუვის სახელმწიფოს კონკრეტულად აქვს გამოყოფილი სამაგისტრო პროგრამების სტიპენდია ქართველი სტუდენტებისთვის, ასევეა უნგრეთშიც. დაინტერესებულ პირებს ვურჩევდი, მოიძიონ მაქსიმალურად ბევრი დაფინანსების წყარო, კარგად დააკვირდნენ აპლიკაციის შესავსებ მოთხოვნებს, პირობებს და შესაბამისად გააკეთონ განაცხადი. შერჩევის პროცესში არა მარტო აკადემიურ მოსწრებას ენიჭება უპირატესობა, არამედ ინდივიდუალურობას, პერსონალურ უნარებს, შესაბამისად, ამ მხრივაც მნიშვნელოვანია კონკრეტული ინფორმაციის გათვალისწინება. რაც შეეხება სტუდენტებს, რომლებიც უკვე საზღვარგარეთ სწავლობენ, ვიცი, რომ არ ხართ მარტივი რეალობის წინაშე, პირიქით, ძალიან რთულ და კომპლექსურ მიზნებს ეჭიდებით, მაგრამ გზის ბოლოს ნამდვილად იამაყებთ ყველა იმ წუთით, როდესაც დანებება გინდოდათ და არ დანებდით. გქონდეს წვდომა უცხოურ განათლებაზე, არის ძალიან დიდი პრივილეგია და შანსი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია.

**- უცხოეთში ყოფნისას, რა გენატრებოდათ ყველაზე მეტად?**

- უცხოეთში ყოფნამ უფრო მეტად დამანახა ქართველი ერის უნიკალურობა. ისეთი სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთგაგება, ერთგულება არსად მინახავს, როგორიც საქართველოში. ხშირად წარმოვიდგენდი - აი, ამ მდგომარეობაში საქართველოში რომ ვყოფილიყავი, სულ სხვაგვარ მხარდაჭერას ვიგრძნობდი-მეთქი. სწორედ ეს მენატრებოდა და მჭირდებოდა ყველაზე მეტად - ოჯახთან, მეგობრებთან ყოფნა, ჩვენი ტრადიციული დღეების აღნიშვნა, თუნდაც ჩვენებური ხუმრობები, რომელსაც უცხოელი ვერასდროს ვერ გაიგებს ისე, როგორც შენი თანამემამულე. რაც უნდა დიდი დრო გაატარო საზღვარგარეთ, ვერასოდეს იგრძნობ თავს ისე, როგორც სახლში, იქაური კულტურის ნაწილად. სწორედ ეს სახლში ყოფნის შეგრძნება მენატრებოდა, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან გამიმართლა და მთელი ჩემი სტუდენტობის პერიოდი უცხოეთში განსაკუთრებულ ქართველებთან ერთად გავატარე. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, სახლში ყოფნის შეგრძნება შეგვექმნა ერთმანეთისთვის და გამოგვდიოდა კიდეც.

**- შთაბეჭდილება, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ...**

- არაერთი განსაკუთრებული მოგონება დამრჩა, თუმცა მათგან სამაგისტრო თეზისისა და ნაშრომის დაცვის დღეს გამოვყოფდი. ჩემი სამაგისტრო თემა მოიცავდა საერთაშორისო კორპორაციულ არბიტრაჟს, კონკრეტულად კომპეტენცია-კომპეტენციის პრინციპს. თემის ფარგლებში განვიხილავდი სასამართლოსა და არბიტრაჟს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის თემატიკას, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის მიდგომებსა და გამოცდილებას, მათ შორის - საქართველოს. თემაზე მუშაობა იყო საკმაოდ ხანგრძლივი და დატვირთული, უძილო ღამეებიც ახლდა, მით უმეტეს, რომ პარალელურად სრული დატვირთვით ვიყავი დაკავებული სამსახურშიც. სამაგისტრო თემის დაცვის დღეს ძალიან ვღელავდი და ვცდილობდი ამ ემოციის დაფარვას. პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ პირადად მითხრა, რომ ძალიან მოიხიბლა ჩემი პრეზენტაციით, ქულაც ამაზე მეტყველებდა. ამ დღემ შეაჯამა მთელი ჩემი უცხოური გამოცდილება, იყო ძალიან ემოციური და სხვადასხვა განსაკუთრებული შთაბეჭდილებით სავსე, ისეთი, რომ არასოდეს დამავიწყდება.

**- სწავლის პარალელურად მუშაობდით საერთაშორისო კომპანიაში იურისტის პოზიციაზე. სამართლებრივ დახმარებას უწევდით 80 იურისდიქციის ფარგლებში არსებულ საერთაშორისო კორპორაციას. გქონდათ შანსი და შემოთავაზება, გაგეგრძელებინათ მუშაობა, მიგეღწიათ არაერთი წარმატებისთვის, თუმცა საქართველოში ჩამოსვლა არჩიეთ. რატომ?**

- დაახლოებით 2 წლის განმავლობაში ვმუშაობდი საერთაშორისო კორპორაციაში „Citco Group of Companies“. ჩემი ყოველდღიურობა იყო ძალიან საინტერესო. ვიყავი საერთაშორისო ჯგუფის წევრი, რომლის 80%-ს ლიეტუველები წარმოადგენდნენ, ხოლო დანარჩენს - უკრაინელები და ქართველები. ჯგუფმა ძალიან პოზიტიური გავლენა მოახდინა ჩემზე და ჩემს ინტეგრაციაზე. ცოდნასა და უნარებს ყოველდღიურად ვუზიარებდით ერთმანეთს. რამდენადაც რთული იყო სამუშაო, იმდენად კომფორტული და სასიამოვნო ადამიანები მყავდა ირგვლივ, ეს იყო პრივილეგია. ასევე, რაც ყველაზე მეტად საინტერესო იყო ჩემთვის, აქ ხდებოდა ჩემი პროფესიული განვითარების მუდმივი გადახედვა/განხილვა. წლის დასაწყისშივე ვადგენდით მთელი წლის ინდივიდუალური განვითარების გეგმას, მენეჯერთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს განიხილებოდა ჩემი სუსტი და ძლიერი პროფესიული მხარეები, შემდგომ კი ზედამხედველი პროფესიის დაუფლებაში მეხმარებოდა, კონკრეტული გეგმის მიხედვით. გვქონდა ყოველკვირეული ჯგუფური სუპერვიზია. ზემოხსენებულმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში. გარკვეული ხნის შემდეგ დამაწინაურეს და სამსახურებრივი პასუხისმგებლობაც გამეზარდა, უშუალოდ ვმონაწილეობდი საერთაშორისო კომპანიების კორპორაციული სამართლის არეალში, ვიყავი მთავარი საკონტაქტო პირი.

**- საქართველოში დაბრუნდით და მუშაობა დაიწყეთ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის“ სააგენტოში საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს წამყვან სპეციალისტად. როგორია თქვენი ხედვა აღნიშნული სფეროს პერსპექტივასთან დაკავშირებით ჩვენს რეგიონში?**

- მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მდგომარეობა ჩემთვის სრულიად მისაღები იყო, მაინც მქონდა დაბრუნების სურვილი. დაფინანსების მოპოვებაზე განაცხადი რომ შევავსე, ჩემი მთავარი პრიორიტეტი არასოდეს ყოფილა საზღვარგარეთ დარჩენა ხანგრძლივი პერიოდით. მქონდა კონკრეტული მიზანი - ეს იყო განათლების/გამოცდილების მიღება და აღნიშნულის ქართულ სივრცეში გამოყენება. აქედან გამომდინარე, ყოველთვის ვიცოდი, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი საქართველოში, როცა შესაბამისი დრო დადგებოდა. ყოველთვის ვეცნობოდი საქართველოს დასაქმების ბაზარზე არსებულ ვაკანსიებს და სწორედ ჩემი დღევანდელი სამუშაო ადგილი აღმოჩნდა საინტერესო იმდენად, რამდენადაც უცხოეთში მიღებული პროფესიული თუ პირადი უნარები შეესაბამებოდა აღნიშნულ პოზიციას. არ დაგიმალავთ, მქონდა ერთგვარი შფოთვაც - ერთია, რამდენად აქტიურად შემიძლია პროფესიული გამოცდილების გაზიარება და მეორე, რამდენად მაძლევს სამსახური კვლავ განვითარების შესაძლებლობას. საქართველოში ჩამოსვლიდან მეორე დღესვე სამსახურში გამოვცხადდი და ამის შემდეგ იმდენად საინტერესოა ჩემი ყოველდღიური საქმიანობა, რომ მიღებული გადაწყვეტილების სისწორე ეჭვქვეშ არ დამიყენებია. საერთაშორისო პარტნიორები, დონორები, პროექტები, პრეზენტაციები, შეხვედრები, ინიციატივები, ყოველდღიური კომუნიკაცია - აი, რითაც ვარ დატვირთული. სააგენტოში არა მარტო ვიყენებ საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, არამედ უწყვეტად ვვითარდები პროფესიულად. ვიმყოფებოდი შვედეთის ქალაქ მალმოში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის პროექტთან „GloNoise“ დაკავშირებით, რამაც უფრო მკაფიოდ დამანახა საზღვაო სფეროს პრაქტიკული მნიშვნელობა, ასევე, საერთაშორისო კოოპერაციის როლი. ყოველთვის განსაკუთრებულად მჯეროდა საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იდეისა და უდიდესი პერსპექტივის, რომელიც საქართველოს საზღვაო გარემოს აქვს საერთაშორისო არეალზე. ძალიან მიხარია, რომ ამ ყველაფრის თუნდაც მცირე ნაწილი დღეს უკვე მეც ვარ და საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის, განვითარებაში ვმონაწილეობ.

**- როგორ გესახებათ თქვენი პროფესიული განვითარება?**

- უახლოესი წლების განმავლობაში საკუთარ თავს საზღვაო სფეროში ვხედავ. სამსახურმა უფრო მეტად გამიღრმავა მისადმი ინტერესი. იგი ძალიან ფართო და მრავალფეროვანია. დიდი სურვილი მაქვს, კვალიფიკაცია სხვადასხვა მიმართულებით ავიმაღლო. ასევე, უახლოეს პერიოდში განვიხილავ დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. აქვე, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობაში ვარ ჩართული საერთაშორისო საზღვაო სამართლის მიმართულებით, რაც კიდევ უფრო მეტ საშუალებას მაძლევს, საზღვაო სფერო სიღრმისეულად მოვიცვა და სტუდენტებს ჩემი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო. ვცდილობ, ყოველდღიურ განვითარებას და მჯერა, შემეძლება, თითოეული დღე საინტერესო და პროდუქტიული გავხადო.

# რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფა გაიხსნა

*ბათუმში ექიმის, მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის, ბერ-მონაზონ ანდრია (რამაზ) სურმანიძის მემორიალური დაფა გაიხსნა. ცერემონიას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე მოადგილეებთან და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო*




მემორიალური დაფის გახსნის ღონისძიებაზე რამაზ სურმანიძის დამსახურებებსა და მიღწევებზე ისაუბრეს მეგობრებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

- ბატონი რამაზის ცხოვრება და მოღვაწეობა იყო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი. ეწეოდა სამედიცინო, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, აღზრდილი ჰყავს არაერთი თაობა, გახლავთ უამრავი სამეცნიერო ნაშრომისა თუ მონოგრაფიის ავტორი. მეტიც, შეიძლება თამამად ითქვას, ბატონი რამაზი აჭარის მედიცინის მემატიანეა, შემოგვინახა და ფურცლებზე გადაიტანა აჭარაში მედიცინის განვითარების ისტორია და მნიშვნელოვანი მიღწევები. 1977-1985 წლებში იყო აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. ვაფასებთ მის ღვაწლს, - აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

მემორიალური დაფის გახსნის შემდეგ, დრამატული თეატრის ფოიეში მწერლის ნაშრომების გამოფენა მოეწყო.

რამაზ სურმანიძე სიცოცხლის ბოლო პერიოდში ბერად აღიკვეცა.

# ...და რა არის სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ?

***კაცი, რომელმაც „ახალი აღთქმიდან“ 200-მდე ფსალმუნი გალექსა, ამასთან, დავით მეფის „გალობანი სინანულისანიც“, ამჟამად აჭარის ცნობილი პიროვნებების საინტერესო ცხოვრებასაც ლექსად გვაცნობს***

*გაზეთ „აჭარის“ სტუმარი **ფრიდონ დავითაძე** საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, საქართველოს პოეტთა საერთაშორისო ასოციაციის, ისრაელის სსფ „გულთა კავშირის“ წევრია. მისი ავტორობით გამოიცა წიგნები: „ჩემი ჩუმი ჩანაფიქრი“, „უფლის საგალობელი“, „გალობანი სინანულისანი“ და „სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

**- ბატონო ფრიდონ, სანამ კონკრეტულად წიგნზე გადავიდოდეთ, მაინტერესებს, როდის დაიწყეთ ფსალმუნების გალექსვა, რამ გიბიძგათ ამგვარი პოეზიისკენ?**

- შთაგონებამ! რამდენადაც ხმამაღალი უნდა იყოს ეს სიტყვა, გვერდს მაინც ვერ ავუვლი. სხვა აღმსარებლობის მიმდევარი ვიყავი მაშინ, როცა ფსალმუნების გალექსვა დავიწყე. ჩემდა უნებურად მოხდა ყველაფერი. ერთ თვეში 150 ფსალმუნის ლექსად ქცევა, მგონი, არაა „პატარა“ ამბავი. მართალი გითხრათ, შემეშინდა კიდეც და მამა გიორგის (ახლა ჩემი ნათლიაა) ვუთხარი ჩემი „ახირების“ შესახებ. წიგნის დაბეჭდვას დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა. სწორედ მაშინ მოვინათლე მართლმადიდებლურად. ამის შემდეგ გავლექსე ეფრემ ასური და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

**- წიგნის სათაური „სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“ საკმაოდ ამბიციურია. რამდენად პასუხობს მისი შინაარსი კაცობრიობისთვის ყველაზე საინტერესო კითხვას?**

- დიახ, ყველაზე დიდი საფიქრალი ადამიანისთვის სიცოცხლის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელებაა! მე შეგნებულად არ დავწერე სათაურად „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“... სიკვდილის შემდეგ სიკვდილის მეშინია და იმიტომ! მგონი, ძალიან კარგი საქმე გამოვიდა ამ წიგნის შექმნით. ორასზე მეტი შუახეველი „დავაბრუნე“ მარადისობიდან და უკვდავებას ვაზიარე.

**- აპირებთ გაგრძელებას?**

- უკვე იბეჭდება ტრილოგიის მეორე წიგნი - „ხსოვნის კიდობანი“, რომელშიც, შუახეველებთან ერთად, ქედის მუნიციპალიტეტის ათამდე ღირსეული ადამიანის მოსაგონარიცაა შეტანილი.

**- სად შევძლებთ მის შეძენას,**



**არის თუ არა ელექტრონული ვერსია?**

- სამწუხაროდ, არ ვთანამშრომლობ წიგნის მაღაზიებთან... ვისაც დააინტერესებს, შემეხმიანოს და მივაწოდებ.

**- თქვენი შემოქმედებიდან რომელ წიგნს გამოარჩევთ და რატომ?**

- „უფლის საგალობელს“ უფლის წყალობად ვთვლი.

**- სოციალურ ქსელშიც აქტიურობთ...**

- ახლა უკვე გვაქვს შესაძლებლობა, წამებში დავუკავშირდეთ მთელ ქვეყანასა და მსოფლიოს საზოგადოებასაც კი. წაიშალა საზღვრები და არ შეიძლება, შემოქმედმა ადამიანმა ეს არ გამოიყენოს. სოციალური ქსელში მყარდება ჩემი კონტაქტი საზოგადოებასთან, ასე რომ, შემიძლია გავანდო ხალხს, რაზე ვფიქრობ, რა მინდა, რას ვაპირებ. სწორედ მასთან ურთიერთობამ, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ გამხადა პოპულარული და ეს მეამაყება, რადგან ჩემს წარმატებაში თანამოაზრეების წვლილიც დევს.

**- უახლოეს დროში იგეგმება თუ არა თქვენი ლიტერატურული საღამო?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველ საღამოს მიწყობენ მეგობრები ფეისბუქგვერდზე ლიტერატურულ საღამოებს. ამ რაოდენობის შემფასებელს ვერსად ვიპოვი!

**- დაბოლოს, რას ეტყვით თქვენს ერთგულ მკითხველს?**

- ყოველი წუთი, წამიც კი ისტორია, ანუ წარსულია ჩვენთვის და მისი უაზროდ, ფუჭად ფლანგვის უფლებას ნუ მისცემთ თავს, გამოიყენეთ დრო რაციონალურად, რადგან განვლილი არასოდეს განმეორდება!..

**მარი მაკარაძე,**
**საქართველოს საპატრიაქროს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი**

# „ჩვენ თვალწინ იბადება ახალი მსოფლიო უწესრიგობა“

მე-5 გვერდიდან

- ჩვენ თვალწინ იბადება ახალი მსოფლიო წესრიგი, უფრო სწორად, ახალი მსოფლიო უწესრიგობა. ახლა მთავარია, როგორი იქნება ამ ომის დასასრული, ანუ რა პირობებით გაჩერდება ომი და როგორი იქნება ძალთა ბალანსი შემდეგ.

**- დაბოლოს, წყდება თუ არა უკრაინაში ევროპის და, მათ შორის, საქართველოს მომავალი?**

- რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ბედიც წყდება უკრაინაში, თუმცა შეგვიძლია ვიაქტიუროთ და უფრო მეტად ვიყოთ დასავლური დღის წესრიგში უსაფრთხოების მოთხოვნის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ასევე, ევროინტეგრაციის კუთხით. საქართველოს ხელისუფლება ამ მხრივ პირიქით იქცევა - ფსონი რუსეთის სწრაფ გამარჯვებაზე დადო, რომელიც არ გამართლდა და ახლა ვხედავთ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის ეტაპობრივ დაახლოებას. სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთს არ აქვს დასავლეთთან გრძელვადიანი წინააღმდეგობის და, მით უფრო, ამ წინააღმდეგობაში გამარჯვების რესურსი. რუსეთის ისტორიული ტრაგედია ისაა, რომ მას აქვს ამბიცია, იყოს პირველი რანგის ზესახელმწიფო. კი, რამდენიმე ისტორიული ეტაპი აღინიშნება ამ ქვეყნის ისტორიაში, როდესაც იყო პირველი რანგის სუპერსახელმწიფო, კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნეში და მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, თუმცა ყველა ჯერზე რუსეთს არ ჰყოფნიდა საკმარისი რესურსი ამ ტვირთის საზიდად და შიდა წნეხის ქვეშ იმპერია იშლებოდა... დაახლოებით მსგავსი რამ ამჯერადაც მოხდება. ამ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლების არასწორი ქმედებების გამო, მივიღებთ განწირულ თაობებს და პროგრესი ათწლეულობით შეჩერდება. ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის უკრაინის ომი მნიშვნელოვანია. საჭიროა უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკა და, ზოგადად, საქართველოს კონსტიტუციის შესრულება. როგორც საბჭოეთის დისიდენტები ამბობდნენ, საქართველომ უნდა შეასრულოს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს, რომ ქვეყნის პრიორიტეტია ევროინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი და მომავლის შუქნიშანი.

## მილოცვა

### ეთერ ხიმშიაშვილი-დავითაძეს



ძვირფასო ეთერ, ცხოვრების, შრომის, ძიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის 70 წელი გამოიარეთ, 20 წლიდან მოყოლებული, სამსახურებრივი საქმიანობით ხართ დაკავებული.

წლებია, ადამიანებთან ფუსფუსით, მათი სიკეთით ხარობთ. მინდობილი საქმე გიყვართ. შრომით კოლექტივში, საზოგადოებაში საიმედო, დასაყრდენ, პრინციპულ კოლეგად გთვლიან. საკუთარი ისტორია დაწერილი გაქვთ.

50 წელია, იოსებ დავითაძესთან ოჯახური თანაცხოვრებით მოდიხართ. შვილების დამკვალიანებელი, შვილიშვილებისა და შვილთაშვილის მომსწრე, მათი სიყვარულითა და წარმატებებით სულდგმულობთ. მეზობლობასა და მეგობრობაში გამორჩეულს, მართლმადიდებლობას ზიარებულს, ნათელმირონობის პატივისმცემელს ყველგან და ყველაფერში საკუთარი ხელწერა გაქვთ.

გილოცავთ დაბადებიდან - 70, სამსახურებრივი საქმიანობისა და ოჯახური თანაცხოვრების 50 წლის იუბილეებს. კიდევ მრავალი წელი მხნედ, მხიარულად და ჯანსაღი ცხოვრების წესით გაგეტარებინოთ!

ეთერ დიასამიძისა (ნათლია) და ბესიკ დავითაძის ოჯახი

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

# სანოტარო სერვისი – მოქალაქეთა სამსახურში

მე-7 გვერდიდან

- მემკვიდრეს უფლება აქვს, მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი თქვას მასზე. მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმა არის ერთჯერადი აქტი, რომელიც უნდა განახორციელოს მემკვიდრემ სანოტარო ბიუროში, სამი თვის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც შეიტყო ან უნდა შეეტყო სამკვიდროს არსებობის შესახებ. დაუშვებელია სამკვიდროს მიღება ნაწილობრივ. კანონი ასევე შესაძლებელს ხდის მემკვიდრეობაზე უარის თქმას სხვა პირთა სასარგებლოდ, თუმცა აქვე განსაზღვრავს, რომ ამ წილის მიმღები არ შეიძლება იყოს უღირსი მემკვიდრე ან პირი, რომელსაც ანდერძით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, იმ შემთხვევაში კი, თუ მემკვიდრე უარის თქმისას არ განსაზღვრავს, ვის სასარგებლოდ თქვა უარი, მისი წილი გადაუნაწილდებათ სხვა კანონიერ მემკვიდრეებს.

**- შეიძლება, რომ მემკვიდრემ ვერ მიიღოს მემკვიდრეობა?**

- მემკვიდრეობას ვერ მიიღებს პირი, რომელიც ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ან განზრახ ჩაიდინა დანაშაული, ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოება დადასტურდება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე).

**- რა უპირატესობა აქვს სესხით უზრუნველყოფილი იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებას?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ფიზიკურ პირზე გასაცემი/გაცემული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია იპოთეკით დაიტვირთოს უძრავი ნივთი იმ პირობით, თუ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი საცხოვრებელ სადგომად გამოყენების მიზნით, სარგებლობაში გადაეცემა იპოთეკარ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს), ან ადგილსამყოფელად (იურიდიულ მისამართად) გამოყენების მიზნით, გადაეცემა იპოთეკარ იურიდიულ პირს. ასეთი იპოთეკის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. შეზღუდვა არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადები/დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფაზე. ზემოაღნიშნული გარიგების დამოწმება სანოტარო წესით ორივე მხარის უფლებების სამართლებრივი დაცვის დამატებით მექანიზმებს ქმნის, ნოტარიუსი ვალდებულია, განუმარტოს ხელშეკრულების მხარეებს (განსაკუთრებით, მოვალეს) ის სამართლებრივი შედეგები, რაც მოჰყვება მათი მხრიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას. ასევე, ნოტარიუსი უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას, რაც გულისხმობს, „ერთი ფანჯრის პრინციპის“ დაცვის მიზნით, ნოტარიუსის მიერ დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულების რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ხელშეკრულებაში შესაბამისი შეთანხმების არსებობის პირობებში, მოვალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იპოთეკარს უფლება ექნება, სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების აღსრულების პროცესი დაიწყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/11/24, 17[20] სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# რას გვაძლევს პროექტი შშმ პირების მონაწილეობით?

***იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს შშმ პირების ინტეგრირებას საზოგადოებაში, უამრავი თქმულა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება სჭირდებათ არატიპური განვითარების ახალგაზრდებს, რომელთა არა მარტო საზოგადოების სრულყოფილ წევრებად, არამედ პიროვნებად ჩამოყალიბებასაც ბევრად განაპირობებს მათი ჩართვა ამა თუ იმ საინტერესო პროექტში***

*ვფიქრობ, ხელოვნებას ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მაგალითად, სპექტაკლში ტიპური და არატიპური განვითარების ახალგაზრდების, მოზარდების ერთად მონაწილეობა ძალიან ბევრის მომცემია როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის. ამის შესანიშნავი მაგალითია „პროფესიონალ ხელოვანთა კავშირის“ მიერ ბათუმის მერიის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი - „ინკლუზიური სპექტაკლების დადგმის ორგანიზება“. განსაკუთრებით მისასალმებელი და საინტერესო, რაც ამ პროექტის ფარგლებში „პროფესიონალ ხელოვანთა კავშირმა“ გააკეთა, ის არის, რომ პროექტით განსაზღვრული სამივე სპექტაკლი არა ერთმა რეჟისორმა და არა მხოლოდ ერთი დასის მონაწილეობით, არამედ სხვადასხვა, შესაბამისი გამოცდილების მქონე, ხელოვანმა სხვადასხვა დასის, ანუ ყოველ ჯერზე ახალ-ახალი მონაწილეების ჩართულობით დადგა. ამგვარად, პროექტში მაქსიმალურად მეტმა ტიპური და არატიპური განვითარების ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, ბათუმელი მაყურებლის - როგორც მოზარდების, ისე ზრდასრულების მეხსიერებაში დიდი ხნით დარჩება სამი საინტერესო და აქტუალური სპექტაკლი - „ლისისტრატე“ (ლაშა ბუღაძის ნაწარმოების მიხედვით), რომელიც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე დადგა რეჟისორმა მანანა ამაშუკელმა, „პატარა უფლისწული“ (ანტუან დე სენტ ეგზიუპერი) პეტრე ჩარგეიშვილის რეჟისურით - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სცენაზე და აქვე - „ანა ფრანკის დღიური“, რომელიც რეჟისორმა ნიკა ტუღუშმა განახორციელა. პირველი სპექტაკლი („ლისისტრატე“) ქალთა მიმართ ძალადობას ეხება და რეჟისორი აქ გამოსავლის საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მეორე სპექტაკლში ეგზიუპერის მიერ შემოთავაზებულ მარადიულ ღირებულებებზე გვესაუბრებიან, მესამეში კი, ფაშისტური რეჟიმის ჭრილში, ზოგადად, დიქტატორული რეჟიმების სიმახინჯეს გვიხატავენ.*

*მაყურებელი ამ დადგმებში მსახიობთა ერთ მუჭად შეკრული გუნდების მიერ შექმნილ სურათებს ხედავს, რომლებიც მის გულამდე აღწევს და მეხსიერებაშიც ხანგრძლივად რჩება. ძალიან დიდხანს არ დაავიწყდებათ სპექტაკლებზე მუშაობისა და პრემიერების პერიოდები თავად მონაწილეებს, განსაკუთრებით შშმ ახალგაზრდებს, რომლებისთვისაც ერთმანეთთან, ასევე, ტიპური განვითარების მოზარდებთან ურთიერთობა იყო საუკეთესო დრო მათ ყოველდღიურობაში. ბოლო პრემიერის დასრულებისთანავე, ოვაციებით და მილოცვებით გახარებულნი და შთაბეჭდილებებით სავსენი არ იღლებოდნენ შეკითხვებით - როდის ექნებათ ახალი სპექტაკლის რეპეტიციები? რასაკვირველია, მერიის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში მსგავსი პროექტები გაისადაც განხორციელდება, მანამდე კი ამ თემასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ პროექტის ორგანიზატორ* ***ლეილა სეფერთელაძეს,*** *რომელსაც თეატრალური სტუდიების ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება აქვს. ბათუმელებს გვახსოვს მისი დაფუძნებული სტუდია „ტიპ ტოპის“ წარმატებები სხვადასხვა რესპუბლიკურ თეატრალურ კონკურსზე.*



**- ლეილა, მოზარდებთან მუშაობის, მათ შორის შშმ პირებთანაც, გამოცდილების მიუხედავად, რა მოგცათ ახალი ამ პროექტმა, როგორი იყო მასზე მუშაობის პერიოდი?**

- ყველაზე საოცარი ჩემთვის ის არის, რომ ჩვენზე, ტიპური განვითარების ადამიანებზე ბევრად უფრო მეტი სიხარულის განცდის უნარი აქვთ, უკეთილშობილესები, უთბილესები არიან და უდიდესი მადლიერების გრძნობა ახასიათებთ. მათთან ურთიერთობის შემდეგ სულ ვფიქრობ, რომ ღმერთმა ალბათ იმიტომ მოავლინა ჩვენ გვერდით, რომ დავფიქრდეთ, საიდან აქვთ ეს სისუფთავე... ხომ შეიძლებოდა მათი მდგომარეობის გამო გაბოროტებულიყვნენ, მაგრამ არა, ბოროტების მისხალიც არაა მათში. სულიერად სრულყოფილები არიან და მათ გვერდით სხვა ადამიანებიც ბევრად უფრო თბილები, უკეთესები ხდებიან. იცით რატომ? როცა უყურებ ადამიანებს, რომლებსაც შენი დახმარება სჭირდებათ, როგორი სიყვარულით, მადლიერებით იღებენ უმცირეს სიკეთესაც კი, შენში სიბოროტე კვდება. ვფიქრობ, ასეთი პროექტები, სხვა სიკეთეებთან ერთად, თუნდაც იმიტომაც უნდა არსებობდეს, რომ ჩვენში ამგვარი კათარზისი მოხდეს, დავინახოთ, რომ მათ რაღაცაში ჩვენზე მეტიც კი შეუძლიათ. ადამიანობით, მადლიერების გრძნობით ბევრად გვჯობნიან.

**- თავად შშმ პირებისთვის მსგავს პროექტებს, უდავოდ, დიდი სიკეთე მოაქვს...**

- რა თქმა უნდა. «ყველა მათგანი იყო ძალიან ბედნიერი სპექტაკლში მონაწილეობით. სულ მაწუხებს ეს კითხვა - ამის შემდეგ რა უნდა იყოს, რადგან იმხელა პოზიტივი მიიღეს სპექტაკლით, რომ ამის შემდეგაც მსგავსი ბედნიერება რომ არ ჰქონდეთ, ვერ წარმომიდგენია... უკვე გვეკითხებიან, ახლა რა ვქნათ, ამის შემდეგ რა იქნება? გველოდებიან...

**- მოდით, კონკრეტულად პროექტზე ვისაუბროთ: როდის და რატომ დაიწყეთ მასზე მუშაობა?**

- მერიის გამოცხადებულ ტენდერში გავიმარჯვეთ. პროექტი ითვალისწინებდა სამი თვის განმავლობაში სამი სპექტაკლის (თითოეულს ერთი თვე უნდა დათმობოდა) სხვადასხვა რეჟისორის მიერ განხორციელებას, რომლებსაც აქვთ შშმ პირებთან მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ჩვენ ვიპოვეთ ასეთი რეჟისორები და ყველამ თავისი კომპეტენცია წარმოაჩინა საკუთარ დადგმაში. პირველ სპექტაკლზე („ლისისტრატე“) მუშაობა 9 აგვისტოს დავიწყეთ, მაგრამ ცოტა მოგვიანებით განხორციელდა თოჯინების თეატრის სცენის დაკავებულობის გამო და შედგა 13-14 სექტემბერს. მასში შვიდი შშმ და ცხრა ტიპური განვითარების ახალგაზრდა მონაწილეობდა. მეორე სპექტაკლზე მუშაობა პარალელურად მიმდინარეობადა, რადგან, როგორც უკვე იცით, სხვადასხვა რეჟისორი მუშაობდა და მონაწილეების შემადგენლობაც არ მეორდებოდა.

**- ანუ ვინც პირველ სპექტაკლში მონაწილეობდა, მეორესა და მესამეში აღარ უთამაშიათ?**

- დიახ, მეორე სპექტაკლში პირველში მონაწილეთაგან მხოლოდ მარიამ ქელეხსეროვა დავიხმარეთ, რომელიც შშმ პირია და ისე გააქტიურდა, მსახიობობის სურვილი გაუჩნდა და უარი ვერ ვუთხარით, მესამე სპექტაკლში კი ერთი მონაწილეც არ განმეორებულა, სრულიად სხვა ახალგაზრდები ასრულებენ როლებს.

**- ამ გზით უფრო მეტი მოზარდის, მათ შორის, რა თქმა უნდა, შშმ პირების დაკავება შეძელით...**

- დიახ, თუ დასაწყისისთვის ვგეგმავდით პროექტში შშმ პირების ჩართულობა 30 პროცენტი ყოფილიყო, საბოლოოდ მივიღეთ 50X50-ზე. ვინაიდან ეს პროექტი მერიისაა, ჩემი აზრით, ქალაქის მცხოვრებთ მაქსიმალურად უნდა წაადგეს. ბათუმში 13 000-ზე მეტი შშმ პირია და რაც უფრო მეტს მიეცემა ასეთ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა, მით უკეთესია. პროექტის პირობებში იმის მოთხოვნა არ ყოფილა, რომ სხვადასხვა სპექტაკლში მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფი დაგვეკავებინა, არც იმ პრობლემის მოგვარების პირობები იდო, რაც მათ ტრანსპორტირებას და ხანგრძლივი რეპეტიციების პერიოდში მინიმალურ კვებით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა, არც ის, რაც სპექტაკლის შემდგომ მათთვის, თუნდაც მცირედი, სამახსოვრო საჩუქრის უზრუნველსაყოფად იქნებოდა საჭირო (ჩვენი სტუდიის მრავალწლიანი ტრადიციით ამას ყოველთვის ვაკეთებთ)... ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი მხოლოდ საკუთარი სახსრებით შევასრულეთ. იმედია, პროექტის მესვეურნი სამომავლოდ გაითვალისწინებენ ამ გამოცდილებას.

**- მოდით, სპექტაკლებზეც ვისაუბროთ.**

- „ლისისტრატე“ საკმაოდ რთული პიესაა. უპირველეს ყოვლისა, ლაშა ბუღაძისგან ავიღეთ ნებართვა ტექსტის ადაპტაციისთვის, გავამარტივეთ, მისაღები რომ გამხდარიყო არატიპური განვითარების ახალგაზრდებისთვის. იგი თბილისიდან მოწვეულმა რეჟისორმა მანანა ამაშუკელმა დადგა. ჩემი აზრით, სპექტაკლი გამართული იყო სანახაობრივადაც და თემატურადაც, სწორი აქცენტებით, მონაწილეთა შესძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენით, რაც ხაზს უსვამდა რეჟისორის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას. მეორე სპექტაკლი ხელოვნების უნივერსიტეტში ვითამაშეთ. პეტრე ჩარგეიშვილმა საინტერესოდ გადმოიტანა სცენაზე ანტუან დე სენტ ეგზიუპერის უკვდავი ნაწარმოები. საკმაოდ ბევრი პერსონაჟია აქ და რეჟისორმა ნაყოფიერად იმუშავა, პატარა მსახიობებს თავიანთი როლები ღირსეულად რომ ეთამაშათ. ერთ სანახაობად ღირდა სპექტაკლზე მუშაობის პროცესი, მეგობრობითა და ურთიერთპატივისცემით სავსე ურთიერთობა რეჟისორსა და მონაწილეებს შორის. კომფორტი, რომელიც შექმნა ბატონმა პეტრემ ახალგაზრდებთან მუშობისას, კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის უზარმაზარ გამოცდილებას. მესამე სპექტაკლი - „ანა ფრანკის დღიური“, მოგეხსენებათ, მძიმე და სერიოზულ თემას ეხება. რეჟისორმა ნიკა ტუღუშმა, რომელმაც 2007 წელს საკუთარი ინკლუზიური დასი „ცისარტყელა“ შექმნა, მოახერხა, რომ სპექტაკლის მონაწილეებს გაეთავისებინათ თავიანთი გმირების ტკივილი და მაყურებლისთვისაც გადმოეცათ. ნიკას გამოცდილებაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, რადგან ეს ყველამ კარგად იცის.

**- რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა პროექტზე მუშაობისას?**

- ის, რომ შემდგარიყო სრულფასოვანი სპექტაკლები. ყველა მონაწილემ შეიტანა წვლილი თავისი შესაძლებლობების მიხედვით. ცნობილია, რომ არსებობს ხმის ჩაწერის პრაქტიკა ინკლუზიურ შემსრულებლებთან მუშაობისას, რაც ამარტივებს პროცესს, მაგრამ ამ მეთოდს არ მივმართეთ. ეს იყო ყველაზე დიდი გამოწვევა - თუნდაც შეცდომებით, მაგრამ ცოცხლად ეთამაშათ სცენაზე. ამან მიანიჭა მათ ყველაზე დიდი ბედნიერება, სიმღერაც კი არ გამოვიტანეთ ჩანაწერით.

**- მაინც რატომ უნდა იდგმებოდეს ასეთი სპექტაკლები და, საერთოდ, რატომ დაინტერესდით ამგვარი პროექტით?**

- მინდოდა, საკუთარი თავი ამ მიმართულებით გამომეცადა. როგორც იცით, ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის 31-წლიანი გამოცდილება მაქვს თეატრალურ სტუდიაში, თუმცა ამ ხნის განმავლობაში არაერთი არატიპური განვითარების ბავშვიც გვყოლია აღსაზრდელებს შორის, უბრალოდ, მაშინ ამაზე ასე ხმამაღლა არ საუბრობდნენ და არ ჰქონდა კონკრეტული სახელი, ყურადღებასაც არ ვამახვილებდით, ისინი ჩვეულებრივ იყვნენ ჩართული პროცესებში და მათი მშობლებიც ენთუზიაზმით მოგვყვებოდნენ. ნაკლებად შესამჩნევი იყო განსხვავება ტიპური და არატიპური განვითარების მოზარდებს შორის, რადგან პროფესიონალი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობდა მათთან და თითოეულ მონაწილეს საუკეთესო უნარების წარმოჩენაში ეხმარებოდა. აქედან გამომდინარე, მთლად ახალი არ იყო ჩემთვის ეს სპეციფიკა, თუმცა, როგორც გითხარით, ასეთი დატვირთვით მუშაობისას, განსაკუთრებით დავინახე, რამდენს გვაძლევს შშმ პირებთან ურთიერთობა, მით უფრო, რომ პროექტში მონაწილეთა უმრავლესობა უკვე ზრდასრული ასაკისაა. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება ბევრ, სხვადასხვა ახალგაზრდას მიეღო მონაწილეობა ამ სამ სპექტაკლში. ნებისმიერ მსურველს შეეძლო მათში თამაში, თუ, რა თქმა უნდა, სპექტაკლი მოგვცემდა ამის საშუალებას პერსონაჟთა რაოდენობით. გაცილებით მეტი მსურველი იყო, ვიდრე დავაკავეთ, ამიტომ ეს პროექტი უნდა გაგრძელდეს, დაიხვეწოს, კორექტივებიც შევიდეს. ამისთვის კი აუცილებელია, მეტი პროფესიონლი ჩაერთოს პროექტის პირობების, რეპერტუარისა თუ ტექნიკური ნაწილის გამართვაში. რა თქმა უნდა, წლიდან წლამდე მუშაობა თავის შედეგს მოიტანს და შშმ პირების ინტეგრაცია ხელოვნების საშუალებით უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს. თქვენი გაზეთის საშუალებით განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ტექნიკურ ზედამხედველებს ლამზირა ბოლქვაძესა და ვერიკო ზაქარიაძეს. ყველა სირთულის გადალახვისას მათი თავდაუზოგავი დახმარება რომ არა, ეს პროექტი ასეთი დიდი წარმატებით ვერ შედგებოდა. მადლობა მათ სპექტაკლების შეფასებისას წრფელი ოვაციებისა და ცრემლებამდე მისული ემოციებისთვის.



**მარინა მითაიშვილი**